ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

645/2
2004



ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე – ნინო ანანიაშვილი – ვარლამ გენგიურის ფოტო;
მეოთხეზე – ნინო გოგოლაშვილის ფერწერული ტილო – „აპოკალიფსი“.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman. A Magazine for Women

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო გარეკანზე

# სამშობლოს ძახილზე



მოვიდა და მხრებზე ტვირთი უსიტყვოთ შეიდგა.

ტვირთი ყოველთვის მძიმეა. თუმცა ზოგს უჭირს მისი ტარება, ზოგს – არა.

მისთვის იგი მძიმეცაა და არც კი. ეს იმიტომ, რომ მისი ქვეყნისაა, საქართველოსი.

აქამდე სხვა ქვეყნებში ილვაწა. ახლა თავისი ქვეყანა გამოარჩია და პირველ ადგილზე დააყენა. რა თქმა უნდა, იცეკვებს ყველგან – მოსკოვშიც, სანკტ-პეტერბურგშიც, ამერიკაშიც, იაპონიაშიც, მაგრამ ამ მიწვევებს თავში თბილისს დაუყენებს. ის მშობლიურია, ის სისხლხორცეულია მისთვის.

მსოფლიომ გაიგო, რომ ნინო ანანიაშვილმა თბილისში დაიწყო ოპერის საბალეტო დასის ხელმძღვანელობა, რათა იგი ევროპული დონის დასად აქციოს, მერე კი – მსოფლიოდაც. ამიტომ მუშაობენ ყოველდღე, დღედაღამ, შეუსვენებლად, თანაც არავის აქვს ავადმყოფობის უფლება. სამშობლოს სიყვარულმა და პასუხისმგებლობის დიდმა გრძნობამ მას ახალი ენერგია შემატა. თბილისის საბალეტო დასიც მას მიჰყვება, მისი ენერგიით იმუხტება, უცხოეთიდან დაბრუნებული სახელგანთქმული კოლეგებით ივსება.

ქართველ მაყურებელს ისინი ახალი დადგმებით გაახარებენ.

# თეთრი ღამეები

## ნარკვევი



● ვალია ხაზალია

ვალია ხაზალია ჩვენთანაც და უცხოეთშიც ცნობილი პიროვნებაა. ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიების საერთაშორისო ინსტიტუტის ცენტრმა მას 2002 წლის დიდებული ქალბატონის წოდება მიანიჭა. დღეს იგი შეერთებული შტატების ბიოგრაფიათა საერთაშორისო ინსტიტუტის მრჩეველთა კვლევითი საბჭოს წევრია. დაჯილდოებულია საფრანგეთის ღირსების დიპლომით, საქართველოს ღირსების ორდენით, გახლავთ საქართველოს მხატვართა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მოდილიანი მოდიოდა მონმარტრზე. ქარი უწეწავდა თმას, შეხსნილ საყელოში უძვრებოდა, გულში უფათურებდა ხელს. მოდიოდა ლამაზი, წარმოსადეგი, ქალების ოცნება. იგი ახლადჩამოსული იყო იტალიიდან, მაგრამ უკვე მოესწრო გადაეთელა ეს ლამაზი ქუჩა... კაფეებიდან იმზირებოდნენ კეკლუცები, თვალს უკრავდნენ, იწვევდნენ. მას სხვა საფიქრალი ჰქონდა, ალმაცერად უბრუნებდა ღიმილს. შორს იყო მათგან, სადღაც ოცნებებში... ის დაბადებით მხატვარი იყო.

თბილისელი ჟურნალისტი მიჰყვებოდა მის ნაკვალევს, შედიოდი კაფეში, სადაც მოდილიანი ესაუბრებოდა მოქანდაკე ბრანკუზს, ხვდებოდა მეცენატებს. იუნესკოსთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის პირველი მდივნის გივი მელაძის და მისი მშვენიერი მეუღლისათვის, ვალია ხაზალიასთვის მონმარტრი ერთ-ერთი ის უსაყვარლესი ადგილი იყო, რომელსაც სისტემატურად სტუმრობდნენ. მიდიოდნენ, რომ წარმოედგინათ მხატვარი დაბინდული მზერით, მომნუსხველი გამოხედვით ხან ახალგაცნობილ მენატურე ქალთან, ხან ანა ახმატოვასთან პირისპირ მჯდარი და დიდი რომანის მორევში ჩაძირული. უფრო კი ბოლო დიდ სიყვარულთან ჟანა ებიუტერთან ღამენათევი.

მშვენიერი ჟანა იყო ერთადერთი ქალი, რომელმაც მხატვარს გაუჩინა ქალიშვილი, დაქორწინება სურდათ, მაგრამ ვერ მოასწრეს. მძიმე ავადმყოფის მოვლას ჟანა დიდი სიყვარულით ახერხებდა. უვლიდა, მაგრამ ვერ გადაარჩინა. სულ ახალგაზრდა დაკარგა. ქალისთვის ეს ისეთი მძიმე იყო, რომ უმისოდ ყოფნას თვითმკვლელობა არჩია. ერთად დაკრძალეს. ღირსიც იყო.

ეს ისტორია ვალიასთვის ყოველთვის რაღაც ახალ ელფერს იძენდა და დაღუპულთა დიდ სიყვარულზე ფიქრებს მისდევდა. ხან მარტო იყო, მონმარტრზე როცა მიდიოდა, ხანაც მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად, მაგრამ ყოველთვის დიდ ხელოვანთა ნაბიჯებს დაეძებდა. ის კი არა, ქალაქში, სადაც ღვთით



● ვალია ხაზალია მეუღლესთან გივი მელაძესთან და ვაჟიშვილ ვახტანგთან ერთად

მოვლენილთა საუფლო იყო, მათზე ფიქრით ღამეებიც თეთრად თენდებოდა. აქ სხვებთან ერთად გუდიაშვილი, ახვლედიანი, კაკაბაძე სულდგმულობდნენ, იხარჯებოდნენ. სწორედ პარიზში ჩაესახა სურვილი ახლოს გაცნობოდა მსოფლიო ხელოვნების საგანძურს, თან გული სორბონის უნივერსიტეტისკენ ეწეოდა. სორბონის ფასი კარგად იცოდა და ცოტა ადრე ალბათ მასზე ფიქრსაც ვერ გაბედავდა, მაგრამ ზურგს ფრანგული ენა უმაგრებდა, რომელსაც ბრიუსელში ოთხწლიანი ცხოვრებისას კარგად დაეუფლა. მაშინ პრესატაშის მეუღლე სულ 25 წლის იყო, მაგრამ კარგად იცოდა წუთის ფასი, რამაც ბევრი შეაძლებინა – ჯერ თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ასპირანტურა, სადისერტაციო თემად ვაჟას ესთეტიკა აირჩია. მისი ეს თვისება ბელგიელმა დიპლომატებმაც შეამჩნიეს, როცა დილით საელჩოს ბაღში ეტლით ბავშვი გამოჰყავდა ხოლმე.



საქართველოს პარლამენტის

– მადამ მელაძე, ესე იგი, ჩემი საათი სწორია, თქვენ ხომ დილით სწორედ ამ დროს გხედავთ!

მადამ მელაძე რამდენიმე წლის მერე სორბონის უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე პასუხობდა.

– რას გვეტყოდით თქვენს ხალხზე, მის დამწერლობაზე?

– მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ის ერთ-ერთი ყველაზე უძველესია და უნიკალური, მას იმდენი გრაფიკული ნიშანი (ასო) გააჩნია, რამდენიც ბგერა, მაშინ როდესაც თქვენ 40-მდე ბგერის გამოსახატავად 26 ასო გაქვთ.

– სად არის თქვენი ქვეყანა?

– კავკასიაში.

– რუკაზე აღნიშნულია?

– რა თქმა უნდა, შავი ზღვის პირას.

– არ ვიცოდით.

– არგონავტებმა რომ კოლხეთიდან მეფე აიეტის ქალიშვილი მედეა წაიყვანეს, სწორედ ისაა ჩემი ქვეყანა.

– ნუთუ, მედეას შთამომავალი ხართ?

...სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ვალია ხაზალია პარალელურად იქვე ფონეტიკის ინსტიტუტშიც იწყებს სწავლას. თან მსოფლიოს მხატვართა შემოქმედებასაც ეცნობა. ამას დიდი ენერგია სჭირდებოდა, რასაც ახერხებდა წუთის დაზოგვის, თეთრი ღამეების ხარჯზე. მას შრომისმოყვარეობა იმ ოჯახიდან მოსდევდა, სადაც დაიბადა. ილია ხაზალიასა და ნეონილა ჯაბუას შვილი მშობლებით გამოირჩეოდა. მამა პატიოსანი, ჭკვიანი, ჭკუის საკითხავი პიროვნება გახლდათ. დედა – გიმნაზიადამთავრებული, რუსული ენის კარგი მცოდნე ქალბატონი. ეს ულამაზესი წყვილი ზუგდიდის ქუჩაში რომ გამოდიოდა, ხალხი გზას უთმობდა და თვალს აყოლებდა. ვალია პირველი შვილი იყო, შემდეგ და-ძმები შემოემატნენ – ოთარი, მერი, გივი ხაზალიები. ყველამ სწორი გზა აირჩია ცხოვრებაში და საზოგადოებრივი მოღვაწეობით სახელიც დაიმკვიდრეს.

სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტს – ვალია ხაზალიას სადისერტაციო ნაშრომი – ვაჟას ესთეტიკა უკვე მზად ჰქონდა. თბილისიდან ბრიუსელში განუსაზღვრელი ვადით მიმავალმა თან რომ წაიღო. მარტო მიფრინავდა. მესაზღვრეები რომ ამოვიდნენ, ჟურნალ-გაზეთების და წიგნების ჩაბარება მოითხოვეს.

– მე მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომი მაქვს გარდაცვლილ კლასიკოსი მწერლის შემოქმედებაზე.

– მოგვეცით! სასტიკი ხმით წარმოთქმულმა ფრაზამ „Гражданочка неположено!“ მიზანს მიაღწია.

არ ეგონა, რომ წაართმევდნენ და გულზე იხუტებდა ხელნაწერს. მაგრამ ააცალეს.

უცბად ყველაფრისადმი ინტერესი დაკარგა, თითქოს იმ ნაშრომთან ერთად გაქრა.

თბილისში დროებით ჩამოსულმა თემის ხელმძღვანელს ბატონ შალვა რადიანს ყველაფერი უამბო. მეცნიერი შეწუხდა და ასე დაამშვიდა: მაინც ვერ დაიცავდი, ვაჟას სწავლება აიკრძალაო. ეს მეორე ლახვარი იყო ვალიასთვის (ეს იყო 1951 წელს).

გულგატეხილი, საშინლად ტრავმირებული ცხოვრების ახალ გზას დაადგა. გადაწყვიტა ფრანგული ენის ფონეტიკაში ცოდნა გაეღრმავებინა, რომ ენის შემსწავლელთათვის დამხმარე სახელმძღვანელო შეექმნა. მიზანს მიაღწია. ეს სახელმძღვანელო 35 წლის წინათ შეიქმნა და დასაბეჭდად მზად იყო, მაგრამ უსახსრობისა და უყურადღებობის გამო ალბათ კიდევ დიდხანს იდებოდა თაროზე, რომ საბოლოოდ იუნესკო არ დახმარებოდა. დღეს ფრანგული და ქართული ენების ორთოგრაფიული და ფონეტიკური ანბანი მის ავტორს ვალია ხაზალიას ხელთა აქვს. „ჩემი პირველი რვეულები ფრანგულ ენაში“, – ასე უწოდა ნაშრომს ავტორმა. იგი თეთრ ღამეებშია დაწერილი, როცა ყვე-



● ვ. ხაზალია. 1948 წ. თბილისი



● ზურაბ წერეთლის სახელოსნოში: ზურაბ წერეთელი, მერაბ ჯაფარიძე, ანდრია ვოზნესენსკი და ვალია ხაზალია

ლას ეძინა და მშვენიერ ქალბატონს ნააზრევი უფრო თავისუფლად გადაჰქონდა ქაღალდზე, როცა საგზლად ფონეტიკის დიდი პატრიარქის გიორგი ახვლედიანისაგან მიღებული ცოდნა ჰქონდა, როცა მის გვერდით იდგა სორბონის უნივერსიტეტის ასევე დიდი პატრიარქი ფონეტიკაში ბატონი პიერ ფუშე. აურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი ლიტერატურა არსებობს ფრანგული ენის ფონეტიკაში, ასევე უხვად მოგვეპოვება ლიტერატურა ქართული ენის ფონეტიკაზე, მაგრამ ამ ორი ენის შედარებითი ანბანი ჯერ არავის შეუქმნია. ფრანგული და ქართული ენების ხმოვანებისა და თანხმოვნების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე. ამ ნაშრომზე მან წლები იმუშავა ბრიუსელში. პარიზში, თბილისსა და ზუგდიდში (რადგან მეგრული ენაც არის გამოყენებული). სახელმძღვანელოს მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა სპეციალისტებმა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ციური ახვლედიანმა, ბატონებმა სერგი წულაძემ და ისიდორე გვარჯალაძემ. წიგნი სულ ახლახან გამოიცა, გამოხმაურებები და შეფასებები გრძელდება. საფრანგეთის საელჩოს ლინგვისტიკის ატაშემ, ქალბატონმა ვირჟინი კონსტანმა, როგორც მისმა თანაშემწემ, ქალბატონმა თამარ ლომიძემ განაცხადა, წიგნს ლაკონური, ორსიტყვიანი შეფასება მისცა – „შედევრი ფონეტიკაში“.

ქალბატონ ვალიას ეკითხებოდნენ, განა შეიძლება ჟურნალისტი მეცნიერიც იყოსო? პასუხობდა: ჟურნალისტისთვის სხვა სფეროში მუშაობა არავის აუკრძალავსო. პირველ რიგში იგი ჟურნალისტია ეს დაიწყო 1956 წლის სუსხიან დეკემბრის საღამოს ტელევიზიის ანძასთან პატარა ოთახში, როცა საქართველოში პირველად აანთო ცისფერი ეკრანი. კაკო ძიძიგური იყო პირველი ხელმძღვანელი. დამწყებმა ჟურნალსტმა მაშინ აღელვებულმა წამოიძახა: – ბატონო კაკო, არაფერი ვიცი ტელევიზიის! მან კი დაამშვიდა: – ნუ ღელავ, ჩვენც არაფერი ვიცით, მაგრამ ვისწავლით.

თითქმის ნახევარი საუკუნე მოახმარა ტელევიზიის განვითარებას თავიდან ლიტერატურულ-დრამატული გადაცემებით, რაც დიდი გემოვნებით მზადდებოდა. შემდეგ მხატვრობაში გადაინაცვლა და ეკრანზე მისი ავტორობით გადიოდა „სტუმრად მხატვართან“, „პირველი პერსონალური“, „შემოქმედებითი პორტრეტი“. „საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მხატვრები“, „ვერნისაჟი“. მათ მოჰყვა ყველა მაყურებლისთვის საყვარელი „საკვირაო გამოფენა“, რომელიც 20 წელია გვახვედრებს მხატვართან, მის შემოქმედებასთან. ამ გადაცემის მნიშვნელობაზე ისაუბრა საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის მუდმივმა მდივანმა არნო ოტრივმა, როცა „საკვირაო გამოფენა“ ეკრანზე იხილა: „საფრანგეთშიც კი, რომელიც ხელოვანთა მექაა, სამწუხაროდ, ამ პრივილეგიით მხატვრები ვერ სარგებლობენ“.

„ერთადერთი ჟურნალისტის გალერეა ნოეც“ ქალბატონ ვალიას ჩანაფიქრის განხორციელებად იქცა. 1996 წელს საფრანგეთის ქალაქ დიჟონში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე ფართო საზოგადოებამ იხილა მის მიერ შერჩეული ქართველ მხატვართა ტილოები, ფრანგებმა ერთხმად გამოხატეს აღფრთოვანება და ვალია ხაზალია საფრანგეთის ღირსების დიპლომით დააჯილდოვეს.

„ორიგინალური ნახატების საგულდაგულოდ მომზადებული გამოფენაა“ – წერდა გამოფენის დირექტორი ბატონი გონე და მადლობას უხდიდა ვალია ხაზალიას ქართველ მხატვართა შესანიშნავი ქმნილებების წარმოდგენისათვის.

მხატვართა ოჯახები შინაურად თვლიან. ზოგჯერ სანუკვარ ოცნებას გაანდობენ ხოლმე. ასე იყო გუდიაშვილთან, მაღალაშვილთან, ახვლედიანთან... ქალბატონმა ვალიამ იცოდა, როგორ ქმნიდა ოპერის თეატრის ფარდას სერგო ქობულაძე, ან რატომ დადგა ქეთევან წამებულის ქანდაკება მერაბ ბერძენიშვილმა საკუთარ ეზოში... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ცნობილი მხატვარი მის არქივსღა შემორჩა, მის ვიდეო კასეტებს...

საღამოა. ჭავჭავაძის პროსპექტზე ლამპიონები ინთება. ქალაქში შემოდგომაა გვიანი. ასევეა სულში, მაგრამ გაზაფხულის დალოდება მაინც სურს. მისთვის ისევ აყვავდებიან ალუბლები... ამ მოლოდინში აივანზე გადის და ქოთნის ყვავილებს რწყავს. თან ეფერება: გაიხარეთ, ლამაზებო...

სილამაზეა ღერძი ცხოვრების. თუ ლამაზად იცხოვრებ, ჩათვალე, რომ ტყუილად არ მოსულხარ ქვეყანაზე. არც ტყუილად არავინ გაჩუქებს იმ სიტყვებს, ღამენათევი ცხოვრებით რომ დაიმსახურე:

„საფრანგეთის სამხატვრო აკადემია სიამოვნებით ულოცავს ქართული ტელევიზიის პირველი არხით ტელევიზიის დაარსების დღიდან დღემდე სახვითი ხელოვნების ტელეეკრანით პოპულარიზაციის დაუღალავ მსახურს ვალენტინა ხაზალიას მოღვაწეობის თითქმის ნახევარ საუკუნესა და დაბადების საიუბილეო თარიღს. კვლავ ულევ ენერგიასა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ მას“.

თვალისჩინივით უფრთხილდება ქალბატონი ვალია საქართველოს იმჟამინდელი კულტურის მინისტრის – სესილი გოგიბერიძის მოსალოც წერილს დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით:

**„გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, რომელსაც პროფესიონალიზმის ერთსულოვანი აღიარებითა და თქვენი პიროვნებისადმი უდიდესი**




**პატივისცემის გრძნობით გარემოსილი ეგებებით.**

**თქვენმა მოღვაწეობამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციაში – თქვენს მიერ მომზადებულმა ტელეგადაცემებმა არაჩვეულებრივი სიზუსტით ასახა ქართულ მხატვრობაში**



● მოსკოვი, კრემლი. მხატვართა საკავშირო ყრილობაზე

**მიმდინარე პროცესები და მიღწევები, მხატვრობის სხვადასხვა დარგის მრავალფეროვნება და ორიგინალური მიგნებები“.**

...ფიქრს თავს ანებებს.

ბინდი ჩამომდგარა ქალაქში. ოთახში შედის და კარს ხურავს. თეთრი ღამე ფანჯარაზე უკაკუნებს.

**ლია კაკაბაძე**

# თითებზე ჩამოსათვლელი წყნარი დღეები

მის ცხოვრებაში თითებზე თუ ჩამოითვლება წყნარი დღეები. თუმცა ძნელი წარმოსადგენიც არის სიმშვიდე ბობოქარი, დაუდგრომელი სულის მქონე ადამიანისა, რომელიც სიმართლისათვის ბრძოლაში დროთა განმავლობაში ჭეშმარიტ პატრიოტად და უშიშარ ოპოზიციონერად ჩამოყალიბდა. მისმა მართალმა სიტყვამ კი, თავის დროზე ალესილ მახვილზე მეტად რომ ეშინოდა ასლან აბაშიძეს, უფრო მეტი დამაჯერებლობა და შინაარსი შეიძინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეზე, ნაზი მიქელაძეზე მოგახსენებთ, ქალბატონზე, რომელიც თავის დროზე მხოლოდ ახალგაზრდების აღზრდას ისახავდა მიზნად.



ნაზი მიქელაძე მეუღლესთან ერთად

თავიდან თითქოს მართლაც ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდიოდა. ტრადიციული ოჯახის შვილი თავადაც ქართული ტრადიციული ოჯახის დიასახლისი გახდა. ქმარ-შვილს ცივ ნიავს არ აკარებდა, მოვლა-პატრონობას არ აკლებდა, გვიან ღამით კი წიგნებს გულისყურით ჩაუჯდებოდა. ამიტომ იყო, რომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, კათედრაზე დატოვეს, რომელსაც მოგვიანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, თავადვე ჩაუდგა სათავეში. თუმცა, როცა უკანონობა კანონად იქცა, იძულებული გახდა ეს თანამდებობა დაეტოვებინა.

მკაცრიაო, არავინ ამბობს მასზე. სამართლიანიაო, ერთხმად აღიარებენ სტუდენტები. ასეც არის. ნიშანს არავის მოუმატებს და არც დააკლებს. საკუთარი შვილებივით იცავს აბიტურიენტებს. რამდენჯერ კომისიის წევრებსაც კი შეჰკამათებია, რომ მათთვის ცოდნა არ დაეკარგათ. და თუ მაინც ვერაფერს გახდებოდა, აცრემლებულ აბიტურიენტთან ერთად ქ-ნი ნაზიც ტიროდა.

ცრემლები ჩემთან საუბრის დროსაც ბევრჯერ მოადგა თვალებზე. გადატანილი და განცდილი, გულში დიდ ტკივილად დაგროვილი, გზას ეძებდა და ცრემლებად მოედინებოდა...

ქალი ხომ მაინც ქალია!

ქ-ნ ნაზის საქმიანობა მხოლოდ ოჯახში არ იწყება და უმაღლეს სასწავლებელში არ მთავრდება. ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ამბის აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი გახლავთ. მაშინაც, როცა მთელი საქართველო ქართული ენის დასაცავად ფეხზე დადგა, ნაზი მიქელაძემ თავის უფროს კოლეგასთან ეთერ ჯიჯეიშვილთან ერთად სტუდენტები დარაზმა და ინსტიტუტის წინ მჯდომარე აქცია მოაწყო. არ გაჭრა არანაირმა მუქარამ თუ დაპირებამ, სანამ თბილისიდან სპეციალური რეისით მაშინდელი ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძე არ ჩამოფრინდა და თავისი სიტყვის შესრულება არ აღუთქვა, აქციის მონაწილეები არ დაშლილან.

ნამდვილი ბრძოლა კი მაშინ დაიწყო, როცა ხელისუფლების სათავეში ასლან აბაშიძე მოვიდა. მთელი აჭარა კორუფციის ჭაობში ჩაეფლო, ხმის ამომღები მკაცრად და სამაგალითოდ ისჯებოდა. ამიტომ ყველა ჩუმად ყოფნას ამჯობინებდა. თუმცა არა ყველა...

ერთხელაც აბაშიძე ჯაბა იოსელიანთან ერთად ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწვია სტუმრად. დაშაქრულ-დათაფლული გამოსვლების ფონზე განსაკუთრებით მკაცრად და მწარედ გაისმა სიმართლე, რომელიც ქ-ნმა ნაზიმ აბაშიძეს დაუფარავად მიახალა პირში. ფერი დაკარგა აჭარის მეთაურმა. ირონიულად ჩაეღიმა მის „საპატიო“ სტუმარს. მეორე დღეს კი მთელი ბათუმი ამაზე ჩურჩულებდა. ხმამაღლა ლაპარაკს აბა, ვინ გაბედავდა...

სანამ ქ-ნ ნაზის შევხვდებოდი, სრულიად უცნობ ხალხს გავესაუბრე. ბევრი რამ სწორედ მათგან გავიგე. ერთმა ისიც კი მითხრა, ნაზი მიქელაძე მთელი ცხოვრების მანძილზე სიკეთეს თესავს და მოსავალს ხალხის სიყვარულის სახით იმკისო.

ბევრიც ქ-ნ ნაზისგან მოვისმინე.

– ხუთი წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა და ოჯახის მთელი სიმძიმე დედას, სრულიად ახალგაზრდა ქალს დააწვა მხრებზე. დამხმარე არავინ ჰყოლია, ისე გაგვზარდა ხუთი და-ძმა. ან ვინ დაეხმარებოდა, ყველას თავისი გასჭირვებოდა, ქვეყანაში ომის ქარ-ცეცხლი ტრიალებდა. დედას, მიუხედავად იმისა, რომ თავისი სახელისა და გვარის დაწერაც კი არ იცოდა, კარგად ესმოდა განათლების აუცილებლობა. ხშირად გვეტყოდა: შვილებო, ოღონდ ისწავლეთ და სახლის გაყიდვაც რომ დამჭირდეს, უკან არ დავიხევო. სკოლასთან ახლოს ვცხოვრობდით და ხშირად ჩვენთან ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები იყვნენ ქირით. მათი დამსახურებაც არის, რომ პატარაობიდანვე კარგად გავაცნობიერე ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის. თავიდანვე ვეწინააღმდეგებოდი ყოველგვარ თურქულსა და მუსულმანურს ქართულ ყოფაში. დედაჩემსაც ხშირად ვეუბნებოდი, დაანებე თავი უცხო ქვეყნის წეს-ჩვეულებების დაცვას-მეთქი.

**– როდის მოინათლეთ?**



● ოჯახი



● ნაზი მიქელაძე რძლებთან ერთად

– 1990 წელს აჭარაში ილია II ჩამობრძანდა და საყოველთაო ნათლობა ჩაატარა, რომელიც დილის შვიდი საათიდან შუაღამემდე გაგრძელდა. იმ დღეს მოვინათლეთ მე და ჩემი ოთხი ძმაც. აჭარაში მასიურად დაიწყო მუსულმანების გაქრისტიანება. ეს პროცესები, რომელიც ღვთის სასწაული უფრო იყო, კარგად იყო ცნობილი აბაშიძისათვის და აჭარაში სწორედ იმ მიზნით ჩამოვიდა, როგორმე შეეჩერებინა აჭარელი ხალხის გაქრისტიანება, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც. თავისი ანტიქართული საქმიანობით ძირს უთხრიდა ქვეყნის ძლიერებას და ერთიანობას. სასტიკად აიკრძალა თავყრილობები. უნივერსიტეტში კრება აღარ ტარდებოდა. ხალხს აზრის გამოთქმის არათუ საშუალება, სურვილიც კი დაუკარგა, მართალი სიტყვისათვის ბევრი იძულებული გახდა აჭარა დაეტოვებინა.

**– თქვენ როგორ გადაურჩით მის რისხვას?**

– ალბათ ღვთის წყალობით. ხშირად მიგზავნიდა ახლობლებს, მისთვის აჯობებს გაჩუმდეს და ოჯახს მიხედოსო. მაგრამ მაინც ვერ დამაშინა, აშკარად ვამხელდი მის პოლიტიკას. ამისათვის ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს ვიყენებდი – წიგნის განხილვა იქნებოდა ეს თუ მწერალთან შეხვედრა. საპასუხოდ განუწყვეტლივ ხორციელდებოდა ზეწოლა ჩემს ოჯახზე. მეუღლეს და შვილებს ერთ თვესაც არ აჩერებდნენ სამსახურში. მახსოვს, უფროს ვაჟს მიზეზი რომ ვერ მოუძებნეს გასათავისუფლებლად, მთელი განყოფილება გააუქმეს.

**– იქნებ მოკლედ ჩამოაყალიბოთ, რაში გამოიხატებოდა აბაშიძის ანტიქართული პოლიტიკა?**

– როცა ტახტი გაიმყარა, გარშემო უმეცარი, მლიქვნელი, ბრძანების უტყვი შემსრულებელი ადამიანების მთელი არმია შემოიკრიბა. მოგეხსენებათ, მის გვერდით ჭკვიანი და განათლებული ადამიანი დიდხანს ვერ ძლებდა. 94-96 წლებში თურქეთიდან სპეციალისტები ჩამოყავდა, რომლებიც უსასყიდლოდ აშენებდნენ ჯამეებსა და მედრესებს. ამ საქმეს სათავეში სოფლის ხანდაზმულები ჩაუყენეს, რომლებიც თავის მხრივ არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ ეს აუცილებელი იყო აჭარისათვის. პარალელურად ახალგაზრდებს სტამბულში აგზავნიდა, სადაც ისინი ფუნდამენტურ რელიგიურ განათლებას იღებდნენ. ფიქრობდა, ამით შეჩერდებოდა მოსახლეობის საყოველთაო მოქცევა ქრისტეს რჯულზე და აღმსარებლობა ნელ-ნელა კვლავ მუსულმანურ სარწმუნოებაზე გადავიდოდა. რელიგია მგრძნობიარე და ფაქიზი თემაა. ამ ნიადაგზე ადვილია შუღლის პროვოცირება. საბედნიეროდ, აბაშიძემ ვერ მოახერხა მოსახლეობის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება.

**– რას მისცემდა აბაშიძეს აჭარის გამუსულმანება?**

– ამით მას საფუძველი ექნებოდა დანარჩენი საქართველოსთვის ეთქვა: აჭარა მუსულმანებით დასახლებული კუთხეა და ავტონომიის გაუქმებაზე არც იფიქროთ ოდესმეო. ამას ისიც ემატებოდა, რომ მასიურად არიგებდა იარაღს მოსახლეობაში.

შეშფოთებული დავდიოდი ხალხში და ვუმტკიცებდი, რომ ეს არ იყო ჩვენი რელიგია, რომ ისლამმა გაანადგურა ყოველივე ქართული, ეროვნული, მამა-პაპისეული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. ვუხსნიდი, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მთლიანად ქრისტიანულ მორალზეა აგებული, ხოლო მუსულმანური აღმსარებლობა ჩვენი ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მომართული რელიგიაა.

**– დიდი ალბათობა იყო, რომ აბაშიძის რეჟიმს საბოლოოდ გაემარჯვა. ბუნებრივია, მისი მოწინააღმდეგეები სამაგალითოდ დაისჯებოდნენ. რისთვის იყავით მზად?**

– ყველაფრისთვის. პათეტიკაში ნუ ჩამითვლით და სიკვდილისთვისაც კი. ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც არ მიფიქრია უკან დახევაზე. ალბათ ბუნებით ვარ ოპოზიციონერი. ჯერ „მრგვალი მაგიდის“ წევრი ვიყავი, შემდეგ – რუსთაველის საზოგადოების, რომელიც ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა და რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის ამჟამინდელი პრორექტორი ბ-ნი ბიჭიკო დიასამიძე ხელმძღვანელობდა.

**– როდის იგრძენით ყველაზე მეტად საშიშროება. თქვენ ხომ, როგორც ერთ-ერთი ლიდერი, ათიათასობით ადამიანის ბედზე აგებდით პასუხს?**

– ხუთ მაისს სტუდენტების დარბევის შემდეგ, მასწავლებლების წინააღმდეგ გაილაშქრეს, წყლის ჭავლით შეეცადნენ მათ დაშლას. ამან ისეთი რეზონანსი გამოიწვია აჭარაში, რომ ხალხი მასიურად გამოვიდა ქუჩაში. თავდაპირველად თუ სამასამდე ვიყავით, საღამოსთვის ეს რიცხვი ოცდაათიათასამდე გაიზარდა. სახლიდან გამოსვლის წინ ჯიბეში პირადობის მოწმობა ჩავიდე, რადგან არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. შუაღამისას ტყვიებმა ზუზუნით გადაგვიარა თავზე. ხალხი გაქვავდა, თუმცა შინ წასვლა არავის უფიქრია. დაძაბული ველოდებოდით, რომ ტყვიები ტრაექტორიას შეიცვლიდა და ჩვენ მოგვცელავდა...

**– საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. აჭარა პატარაა. ყველა ერთმანეთს იცნობს. დაპირისპირების შემდეგ ვნებები ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. ურთიერთობები კი აღდგენას საჭიროებს.**

– იარების მოშუშებას დრო უნდა. ამას გარდა, გარშემო ბევრი შენიღბული ადამიანია, რომელიც ხელსაყრელ დროს ელოდება, სამალავიდან გამოძვრეს და თავისი ბნელი საქმეები კვლავ აკეთოს. იმედი აქვთ, რომ ძველი რეჟიმი კვლავ აღდგება. აგრესიულად განწყობილები იმუქრებიან კიდეც, ცოტა გვაცალეთ, მალე დამთავრდება თქვენი ზეიმიო.

ასეთ ხალხთან, დამერწმუნებით

ალბათ, ძნელია შერიგება. თანაც იარების მოშუშებას დრო უნდა. ბევრი ცნობილი „ბაბუინი“ ასლანის მზეს რომ ფიცულობდა, დღესაც თბილ ადგილას არის მოკალათებული. იმედი მაქვს, რომ ეს გამიზნულად არ კეთდება და ახალი ხელისუფლების გამოუცდელობის შედეგია მხოლოდ. ამასთან დაკავშირებით ჩემი აზრი ქ-ნ ნინო ბურჯანაძესაც გავუზიარე. ყველას ერთბაშად ხომ ვერ გავათავისუფლებთო, მიპასუხა. თანამდებობის ფასადაც რომ დამიჯდეს, ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი.

**– ე.ი. შეიძლება ერთ დღეს კვლავ ოპოზიციაში აღმოჩნდეთ?**

– წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ნაციონალურ მოძრაობაში ხალხის ინტერესების დასაცავად გავწევრიანდი და სანამ ძალა მეყოფა, უკანონობას შევებრძოლები. თუ საკანონმდებლო ორგანო ხალხის ინტერესებს არ დაიცავს, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, ისე დავტოვებ თანამდებობას. ჩემთვის უზენაესი საქართველო და ჩემი ხალხია. თუ ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა არ გამოსწორდება, თუ ხალხის ინტერესები კვლავ იგნორირებული იქნება და ისევ ძველი, ძირმომპალი სტრუქტურები დარჩება ძალაში, მაშინ ჩემს ყოფნას უმაღლეს ორგანოში არანაირი აზრი არ ექნება. სიმართლე გითხრათ, ჯერ-ჯერობით იმ უფლებებს ვერ ვგრძნობ, რაც თანამდებობით მეკუთვნის. როგორც ჩანს, უნდა მოვიპოვო ეს უფლებები. დილიდან საღამომდე უამრავი ადამიანი მოდის ჩემთან. ვერც კი წარმოვიდგენდი, ხალხს თუ ასე უჭირდა. ღმერთს შევთხოვ ძალა მომცეს, რათა ჩემს ქვეყანას ვემსახურო და ადამიანებს რითიმე მაინც შევუმსუბუქო მძიმე ყოფა.

**– პოლიტიკამ საყვარელ საქმეს ხომ არ ჩამოგაშორათ?**

– სტუდენტებთან ურთიერთობის გარეშე ნამდვილად გამიჭირდება, მათგან მეც ბევრს ვსწავლობ. ამიტომ უნივერსიტეტში საათები დავიტოვე. ჩემთვის დიდი უბედურება იქნება ხალხისაგან გამიჯნვა. ყოველთვის მაღიზიანებდა მონური სული და ვერასოდეს შევეგუები შინაგანი თავისუფლების დაკარგვას. შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ადამიანს უნდა შეეძლოს თავისი შეცდომების დანახვა და გამოსწორება.

**– საპროტესტო აქციები გახშირდა. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ხელისუფლება შეძლებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას?**

– ჩვენს პრეზიდენტს ღვთით მომადლებული ნიჭი და უნარი აქვს იმისა, რომ წამებში განჭვრიტოს შექმნილი მდგომარეობა და მომენტალურად მოძებნოს ჩიხიდან გამოსავალი. ამდენად იმედი მაქვს, რომ ქვეყანას განვითარების სწორ გზაზე დააყენებს. თუ ისე წარიმართება დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობა, რა მიზნებითაც მოვიდა ქვეყნის სათავეში, ყველაფერი კარგად იქნება. ჭეშმარიტების გზიდან გადახვევა ქვეყანას დიდ პრობლემებს შეუქმნის. ერთი კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ამის საშუალებას ნამდვილად არავის მისცემს.

– წარმატებებს გისურვებთ.

**მარინე ნაკაიძე**





# მთვარესავით

## (ორიოდე შტრიხი ჩემეული რევაზ ინანიშვილის პორტრეტისათვის)



„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი,“ ბრძანებს დიდი პოეტი, ბევრი სანუკვარი სახსოვარი მაქვს მეც. მრავალ ცნობილ ადამიანს შევხვედრივარ, მისაუბრია მათთან, მათი მზერა, შემოხედვა, საუბრის მანერა თუ ხმის ტემბრი დღემდე აღბეჭდილია ჩემი სულის კარდიოგრამაზე...

შევხვედრივარ გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, პოლიკარპე კაკაბაძეს, ლადო გუდიაშვილს. ძალზე გულითადი ნაცნობობა მქონდა რევაზ ინანიშვილთან.

რევაზ ინანიშვილი რომ ერთი უმშვენიერესი მწერალია, ყველა ქართველისათვის ცნობილია. ასეთივე პიროვნებად ვიცნობდი მეც: ჩუმი, წყნარი, დამაჯერებელი, გაწონასწორებული კაცი იყო. – მშრომელიც, მიწის მუშაც, მწერალი-მხატვარიც, პოეტიც... არ მავიწყდება – ოფიციალურად რომ გამოცხადდა მისი რუსთაველის პრემიის ლაურეატობა, მეორე დღეს რუსთაველის მეტროსთან შემხვდა თავის მშვენიერ მეუღლესთან ერთად. დაღლილები ჩანდნენ. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე; ნამუშაკევი ხელები მიჩვენა. გამიკვირდა. თუმცა გასაკვირი რა იყო, ის ხომ გიორგი ლეონიძის თქმისა არ იყოს, ყელამდე იყო ქართულ მიწაში ჩაფლული,

არ მავიწყდება რევაზ ინანიშვილის მიერ წაკითხული მისივე მოთხრობა „დამხასიათებელი.“ ალბათ, არასოდეს არსად არ ჩანდა მისი პიროვნება ისე ნათლად და კარგად, როგორც ამ მოთხრობის წაკითხვისას გამოჩნდა. ლაღი, დიდებული, ყოველი სიტყვის მნიშვნელოვნად წარმომჩენელი...

პოეზიის მადლი მისთვის სხვაგვარად იყო მისაწვდომი, მასთან ყოველი შეხვედრა მარწმუნებდა, რა ღრმა ცოდნა ჰქონდა არა მარტო ქართული, რუსული და რომელი ქვეყნის პოეზიის აღარ. ყოველთვის მასაჩუქრებდა თავისი ახალგამოცემული წიგნებით.

მახსოვს, რუსთაველზე რომ წიგნის ხელმოწერის მაღაზია იყო, იქიდან მოვდიოდი და გამომცემლობა „მერანთან“ შემხვდა. დაინტერესდა რა წიგნები გამოგიტანიაო. წიგნებში პლატონიც რომ დაინახა, წამით მომაჩერდა, მერე კი ეშმაკური ღიმილი დაეტყო... კაცო, პლატონსა კითხულობ, თანაც, რუსულადო? რატომაც არა, აბა, ამისთანა ლირიული ფილოსოფოსი სხვა რომელია-მეთქი? ჰოო, მე კიდევ, მე საწყალს, ჩემი ახალი წიგნი მინდოდა მეჩუქებინა შენთვის, ქალი პლატონსა კითხულობ და აბა, ჩემს წიგნს იკადრებო? ორივეს ხარხარი აგვიტყდა. მერე იქვე მაჩუქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განათლებული კაცი

თავისი ,,ჩიტების გამომზამთრებელი‘‘ და წამიწერა: ,,ბელა შალვაშვილს, მშვენიერ პოეტს – მაშინ წასაკითხად, როცა პლატონი მობეზრდება. რ. ინანიშვილი 27.12.78წ.‘‘

ათი წლის განმავლობაში (1970-80) გამომცემლობა ,,ნაკადულში‘‘ ვმუშაობდი. იქაც ხშირად ვხედავდი რევაზ ინანიშვილს, უყურადღებოდ არ დატოვებდა იმხანად პრესაში გამოქვეყნებულ ჩემს ლექსებს, აუცილებლად მეტყოდა რამე საგულისხმოს. ერთხელაც, ქუჩაში შემხვდა, მითხრა, ,,ლიტერატურულში‘‘, ვნახე შენი ლექსები, იქიდან ერთი სტროფი ჩემს ,,სამაგიდო რვეულშიც შევიტანეო. რომელიმეთქი? ,,და რადგან ველი მოიჩითება, მეტი არცარა უნდათ ჩიტებსაცო.‘‘

ერთხელ, სამსახურში, ,,ნაკადულის‘‘ ერთ-ერთი რედაქციის გამგესთან, უსიამო საუბარი გამომივიდა. მე ჩემსას ვუმტკიცებდი ნაწარმოების სიავკარგეზე, ის – თავისას მიმტკიცებდა. მტკიცებამ გაღიზიანებამდე მიგვიყვანა. ეტყობა, უკმაყოფილება სახეზედაც გვარიანად მეჩნეოდა. ამ დროს რედაქციაში რევაზ ინანიშვილი შემოვიდა, – ვითარება უცებ განჭვრიტა, რადგან ჩემს გემოვნებაზე აზრი გააჩნდა, მიხვდა მართალი ვიყავი, მაგრამ, არაფერი უკითხავს და ზეპირად დაიწყო:

ქუმლის ციხე, ცეცხლის ჯვარი,  
სიხაურის მთა,  
ძერას ირაოსებურად  
დაუშვია ფრთა;  
საბილოს თუ გამოძებნის,  
თუ არა და, რა, –  
თავის არსებობაზე ხომ  
მოგვაწვდინა ხმა,  
ზოგჯერ კაცსაც ამის მეტი  
არა უნდა რა.

როგორც ზემოთაც ვთქვი, ძალიან კარგად კითხულობდა რევაზ ინანიშვილი. იმჯერადაც ისე წაიკითხა, იქამდე შეუმჩნეველი ჩემივე ლექსი ძვირფასი გახდა ჩემთვის, რაც მთავარია, დაამთავრა თუ არა კითხვა, რედაქციაში მყოფთ მიმართა: აი, ასეთი კარგი ლექსები აქვს ბელასო. რევაზ ინანიშვილის საქციელის ქვეტექსტი უცებ ამოიკითხეს იქ მყოფთ, რადგან ყველა კარგად იცნობდა მის ბუნებას – ჩემი ლექსის წაკითხვით რევაზ ინანიშვილმა ისე ლამაზად დამიცვა მათგან, ვინც ასე უსაფუძვლოდ მიპირებდა დაჩაგვრას, უკეთესად ვერავინ შეძლებდა.

ყველაზე ძვირფასი, რაც ჩემს ბინაში მოიპოვება, არის რევაზ ინანიშვილის მიერ დახატული ჩემი პორტრეტი. 1960 წლის 2 მარტს მწერალთა კავშირის სალონში რაღაც ღონისძიება ტარდებოდა. გვერდით მეჯდა თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი ნია აბესაძე. უეცრად ნია მომიბრუნდა და მითხრა, რომ იცოდე, რევაზ ინანიშვილი გხატავსო. ორიოდეჯერ მართლაც მზერა გავაპარე და ვიგრძენი, ნია არ ტყუოდა. ღონისძიება რომ დამთავრდა, რევაზ ინანიშვილი მომიახლოვდა, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაიდინაო, ისე მორცხვლებით გამომიწოდა თავისი ნახატი, – გქონდეს სახსოვრადო. როგორც გითხარით, ჩემს ბინაში ამაზე ძვირფასი არა მოიპოვებარა.

ოთხმოციან წლებში, აღარ მახსოვს რომელი წელი იყო, გავიგე, სამკურნალო კომბინატში წევსო, სანახავად მივედი. ძალიან გაეხარდა. პალატაში რაღაც საკანცელარიო წიგნის მსგავსი დიდი რვეული ედო საგულდაგულოდ წვერწათლილი ფანქრით. ეტყობოდა, იქაც მუშაობდა. საათზე მეტს მიკითხავდა, ვშიშობდი, არ დაღლილიყო. თითქოს ჩემი ფიქრი ამოიცნოო, მწოლიარემ ამომხედა და მითხრა, მე არ დავღლილვარ, შენ ხომ არ მოგბეზრდა კითხვაო. მხოლოდ ერთხელ შეჩერდა კითხვისას და ფანქრის ბოლოთი, ზედ რომ პაწია საშლელი ჰქონდა, რაღაც წაშალა, სულ რაღაც ერთი თუ ორი ასო-ნიშანი, ეგ იყო, და ეგ. თითქმის ზეპირად ვიცი მისი ლექს-მოთხრობები.

უსამართლობა საშინლად აღიზიანებდა. მწერალთა კავშირში ერთჯერ ვნახე აღელვებული და, მართლაც, თავისთავს რომ არ ჰგავდა, ისეთი რევაზ ინანიშვილი. გამიკვირდა, – გაბრაზება თქვენც იცით-მეთქი? უფრო გაგულისდა. შემდგომში შევიტყვე, რაც აბრაზებდა და – სამართლიანადაც. მისმა ამ გაბრაზებამ მიკარნახა ლექსი, რომელიც მასვე მივუძღვენი:

ურიცხვი ვარამის მნახველები  
სხედან, ბუბუნებენ დინჯი კახელები.  
არა პირბოოშნი და საქმენაღდები,  
სხედან მკერდსა შინა პატარა ნაღმებით.  
თითქოს აფასებენ ნაჯაფ-ნახელავებს, –  
დროდადრო კოჟრიან ხელებს დახედავენ.  
დროდადრო თითქოსდა ოცნებას აპურებენ,  
ზეცას კრძალვითა და კდემით აჭყურებენ.  
ალაზნის ველივით დაფიქრებულები,  
დაუნჯებულები სათქმელით ულევით...  
მაგრამ გახელებაც იციან კახელებმა –  
აჰა, ალავერდი – სიდინჯე-გახელება.  
და თუმცა უწყიან სოფელი წამიერობს,  
მაინცღა მღერიან მრავაალ-ჟამიერო.  
ათასი ჭირის და ვარამის მნახველებო,  
ეს თქვენ გაგიმარჯოთ, ძმებო, კახელებო!

ლექსი დაიბეჭდა, აღარ მახსოვს სად და ქუჩაში რომ შემხვდა, კმაყოფილმა მითხრა – ეს რა კარგი ლექსი მოგიძღვნიაო ჩემთვის.

მოსაგონარს რა გამოლევს...

იმ მწარე, მრისხანე წელს, იმ სუსხიანი ახალი წლის წინა დღეებში გარდაიცვალა რევაზ ინანიშვილი, ქართველები გამალებული რომ იწევდნენ ერთმანეთის ამოსაძირკვად. თუნდაც, მარტო ეს მოუთმენელი და უგუნური საქციელი მოკლავდა ადამიანს, მით უფრო, ასე მგრძნობიარეს. მისი გარდაცვალება არ გამიგია. მერე შევიტყვე, ჩემსავით ბევრს ვერ გაუგია.

ეტყობა, ასე ბრალიან-უბრალოდაც მიდიან მისნაირი დიდი ადამიანები.

**ბელა შალვაშვილი**

რევაზ ინანიშვილი

# დედები



მხატვარი ცინარა ტერელაძე

ზაფხულის დილაა. მზე ჯერ არ ამოსულა. სოფლის წყაროსთან ხელკოკიანი ქალები და ნახირში გასარეკი ძროხები დგანან. ძროხები გულგრილად იცოხნებიან, ქალები მილიდან ნეკის სიმსხოდ ჩამომავალ წყალს მისჩერებიან.

მოდის ერთი შუახნის ქალიც – გამხდარი, გასნეულებული, შავ-ყვითელი. პატარა პირწამტვრეულ სურას ლოდზე მიაყუდებს:

– დილა მშვიდობისა, ქალებო-ო! – იტყვის გაგრძელებით, ლოდზე დაჯდება და მოსახვევის ბოლოებს ჩამოიშლის, თითქოს დასცხომოდეს.

– მშვიდობა მოგცეს, გაგიმარჯოს. როგორა ხარ, ანანო! – მიუგებენ აქეთ-იქიდან.

– კარგად, გენაცვალეთ, კარგად.

ქალი მოსახვევს უკან გადაიწევს და შეჭაღარავებულ თმას დამჭკნარი ხელისგულებით ისწორებს საფეთქლებთან.

– მოდი, შენ აავსე, ანანო!

– არა, რასა ბრძანებთ, ქა, მე სად მეჩქარება, შინ ვინა მყავს. ბიჭი იყო და გათენებისასვე წავიდა.

– იყო, ქალო?

– იყო, დედა ენაცვალოს. გასუქებულია, დავაჟკაცებული, ყელგავსებული. აი, ბეჭები! ხალათში არ ეტევა. ცოტა ხანიც, დედი, ცოტა ხანიც და მერე სულ შენთან ვიქნებიო. სახლს დავადგათ, წითელი ქეშტით გადავხუროთ, ეზოც კარგად შემოვღობოთო. მხრებამდე ვერც კი ვწვდები, დედა ენაცვალოს იმასა, დავსვი, ფეხები დავაბანინე. ბროლი, ქალო, ბროლი! მამაჩემსა ჰქონდა სწორედ ეგეთი ფეხები. ჩავუხალე კვერცხები, სულ ახალთახალი კვერცხები, ერბოში, იმისთვისა მაქვს შენახული საკუთრად. შენაო, დედიო, შენ უნდა სჭამოო, მე დამიდგა. თითონ მომიტეხა პურიც, მე არა მშიაო. მე შენ შიმშილის ქვეყნიდან ხომ არ გგონივარ მოსულიო. ეცინებოდა, სულ თეთრი სიკეთის ვარდები გადასდიოდა სახეზე. დადის, დადის, მალ-მალე გადაისვამს ხელს ქოჩორზე. დარჩი-მეთქი, დედა გენაცვალოს, შვილო, ჩავჭიდე ხელი. აი, მაჯები, ორ ხელს ძლივს შემოუწვდენ, ქალო. არაო, დედიო, რომ არ წავიდე, არ შეიძლებაო. ეგრე კი არ არის, იქაც დიდი საქმე მაბარიაო. ძალით გამაშვებინა ხელი იმ ჯიუტმა. გამაშვებინა ხელი და წავიდა სიცილ-სიცილით. ნეტავ შენს დადასაო, იტყოდით.

ქალები ბედავენ და ბოლომდე ვერ გაუბედავთ მისკენ გახედვა. მილთან რომ ჩაცუცქულა და წყალს სურას უმარჯვებს, ის ჩაჰბუტბუტებს შემღვრეულ გუბეს.

– ვაი, შე საცოდავო, შენა.

აავსებს სურას, ტილოს საცობს გაუკეთებს, დაიწვენს მხარზე და მიდის ჩუმი დუდუნით:

– შე საცოდავო, შე გამწარებულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთევან შენგელია



გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: 1997 წელს „თოვლივით თეთრი მწუხარება", 2002 წელს „აკაციის ხეივანი". 1984 წლიდან მისი ლექსები, მოთხრობები და ლიტერატურული წერილები იბეჭდება პერიოდიკაში. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## ნახევარი

ყველაფერი ორ-ორი და სამ-სამი
და არც ერთი ნამდვილი და ერთი,
ხან გავორდი, ხანაც კიდევ გავსამდი,
ესე იგი, ვერ ვიპოვნე ღმერთი.
მერე შეწყდა ეს სამ-სამი, ორ-ორი,
დატრიალდა ბედისწერის ჩარხი,
და ჩამოწვა ღამე, იცი როგორი?
არც ერთ ქვრივს რომ არ ჩაუცვამს თალხი.
ამის შემდეგ გაჩნდა ნახევარი დღე,
სანახევრო სურვილები – მტრები,
ნახევარი მთვარე, დაბინდული მზე,
ანგელოზის დამტვრეული ფრთები...
ნახევარი ჯიბე – სავსე ოცნებით,
ნახევარშიც – ჩარჩენილი ფული,
გევედრები, ღმერთო, ერთხელ მაჩუქე
რამე, ერთი, ლამაზი და სრული.

* * *

ვერც შენ გაიგე, რაც მე გითხარი,
არ გსაყვედურობ, ეგ არაფერი,
ვითომ დამთავრდა ცუდად სიზმარი,
და სულ სხვა იყო სიზმრის მნახველიც.
გული თუ მტკივა, მერე რა უჭირს,
უნდა გეტკინოს გული ხანდახან,
დრო სუყველაფერს ფეხქვეშ გაიგდებს,
მოსპობს, აიკლებს, დაგლეჯს, გადახრავს.
მაგრამ ხომ იყო ნატვრის ხე ახლოს?!
შეიძლებოდა ჩიტის დაჭერა,
მე მეგონა რომ შენს გულში სახლობს
ჩემი ოცნების სხივი ამჯერად.
ცუდად ვიყავი, მერე რა უჭირს?
მე ხშირად მტკივა გული ისედაც,
წაიღოს წყალმა ჩემი სიზმარი,
ისიც წაიღოს, ვნახე ვისზედაც.

* * *

მთელი ცხოვრება მოლოდინია
და მერე დაგლის, აბა, რას იზამს?!
გააფერმკრთალებს ცდუნების ნაყოფს,
მარგალიტივით პატარა მიზანს.

ჩვენ ველოდებით ფრთაშესხმულ იღბალს,
სიყვარულის ჩრდილს – ხეზე ლიანებს,
ნამდვილად მარტო სიკვდილი მოდის,
ის არაფრით არ დაიგვიანებს.

* * *

შენ რომ გგონია
შენთვის გალობს ეს იადონი,
არ არის ასე...
არ შეუძლია
სხვანაირად, როგორ იცოცხლოს? –
გული აქვს სავსე...

## გაზაფხული

ბლის ყვავილებს დაერია ქარი მრუში,
გაფანტა და მიწისაკენ წაიღო,
სურვილები აფართხალდნენ ისევ გულში,
ენძელებო, რას ჩურჩულებთ, რა იყო?!
ხეო, ისევ ამოიყრი მარგალიტებს,
გაზაფხული ფარჩას მოაშრიალებს,
ჩიტის გული ამ სიმღერას ვერ დაიტევს,
დილის ნამი ციბრუტივით ბზრიალებს.

## ჭყიტ!

ბროწეულის ხეს უგიზგიზებს ხელზე
მარჯნები,
ულამაზესი ახალ მთვარეს ჩაუთქვამს
სურვილს,
ზედ წამოუსხამს შიშველ მკლავზე მწვანე
ფარჩები
და ცეკვა-ცეკვით ამწვანებულ ბალახებს
უვლის.
გასაშტერებლად ლამაზია ყვავილი იგი,
ო, საკოცნელად ნაზია და სასიყვარულო,
ხომ ხედავ, როგორ აჰეიმებს ოცნებას
კვირტი,
შენც გამობრწყინდი, სიხარულო, ჩემთვის
ფარულო!
ტრიალებს მიწა, თავბრუს მახვევს ვით
სიყვარული,
ხელგაშლილი წყაროს თავთან მწყურვალი
ვდგევარ,
აცეცხლებული, მოცეკვავე და მხიარული,:
ჭყიტ – ბროწეულის ყვავილი ვარ...
მე განა მე ვარ.

* * * * * * * * * * * * * * * * * * * * *

ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან.

ახალმოსულები რიდით, შორიშორ უვლიან ქვაზე ჩამომჯდარ ანანოს და შეშინებულები უყურებენ გვერდიდან.

– როგორა ხარ, ანანო, როგორ! – გამოერევა გამბედავი ვინმე.

– კარგად, ქალებო, კარგად.

– იყო შენი ბიჭი?

– იყო, დედა ენაცვალოს, იყო. – ისწორებს და ისწორებს შეჭაღარავებულ თმას ანანო. – იყო და ისევ წავიდა. მალე სულ ერთად ვიქნებითო. მოვალო და სურ ერთად ვიქნებითო. სახლს დავაღგათო, წითელი ჟეშტით გადავხუროთო. გასუქებულა, დავაჟკაცებულა. აი, მხარ-ბეჭი, ხალათში არ ეტევა. ნეტავი შენს დედასო, იტყვი.

– მიდი, აავსე, შენი ჯერია, ქალო, ანანო!

– თქვენ აავსეთ, გენაცვალეთ, თქვენ აავსეთ. მე სად მეჩქარება. ბიჭი თუ მოვა, საღამომდე არ მოვა. თქვენ აავსეთ, კეთილებო, კაცები გელოდებიან შინა.

ქალები კოკებს და სურებს ავსებენ, შეწუხებულნი უქცევენ გვერდს ანანოს და მიდიან და მიდუდუნებენ:

– შე საწყალო! შე საცოდავო!

– მაგის ქმარმა არ გაიხაროს მაგის ცოდვითა!

– დედის გულის გამჩენო! დედის გულისა!

– აავსეთ, გენაცვალეთ, თქვენ აავსეთ. მე ჯერ არ მეჩქარება. ვიჯდები აქ, დავიწვი სიცხით შინა. – ყველას უთმობს ანანო და თან ისწორებს და ისწორებს თმას – შუბლთან, საფეთქლებთან, ხანდახან საკინძესთანაც დაიმიავებს ხელს.

ქალები კი მოდიან და მიდიან. ყველა ანანოზე მილაპარაკობს.

* * * * * * * * * * * * * * * * * * * * *

– ამას წინათ ექიმთან ვნახე, ქალო. ჩვენ ჭკუაზე გადასული გვგონია და იცი რას ეუბნებოდა ექიმსა? ძილის წამალი მომეცი, ძილის წამალი მომეცი, თორემ აღარ მეძინება, ბიჭს ვეღარა ვხედავ და ვიღუპებიო. ტიროდა, ტიროდა, სულ თხილის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა.

– დედის გულის გამჩენი, დედის გულის გამჩენი უნდა დაიწვას ქვეყანაზედა.

– ეეჰ!

მძიმე დუმილი ეუფლება ყველას.

# დედებს გვესროლეთ

ნაზი კილასონია – მოქალაქე, ნაზი კილასონია – პოეტი ამ სიტყვებით იწყებდა და ამთავრებდა ლექსს, რომელიც შემდეგ ირმა სოხაძემ გვიმღერა.

ოთახში, სადაც ვზივარ, ნაზი წერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვიკითხავდა სტრიქონებს, რომლებსაც დედის შეშფოთებული ძახილი ახლდა, სამი ვაჟის დედის – არასოდეს დამუქრებოდა საფრთხე ბავშვებს.

და აი, მოხდა ბესლანის შემძვრელი ტრაგედია, რომელსაც მის მომსწრეებს ვერაფერი დაავიწყებს. 300-ზე მეტი ბავშვია დაღუპული (ეს არაზუსტი ოფიციალური ცნობაა).






ახლა რამდენია უგზო-უკვლოდ დაკარგული, დასახიჩრებული, სულიერად და ფიზიკურად დაავადებული!

რა დააშავეს პირველსკოლელებმა, 1 სექტემბრის სიხარული რომ სამუდამოდ ჩაუქრეს, მათი საზეიმო ტანსაცმელი სისხლში, სიბინძურეში ამოსვარეს და სამი დღე გაუგონარი წამებით ნელ-ნელა მიასიკვდილეს – არც წყალი, არც საჭმელი, არც ძილი. სიმრავლისაგან სკოლის სპორტდარბაზში ბავშვები ერთმანეთს მიეკვრნენ, სიცხისგან გათანგულები და გონმიხდილნი ტანსაცმელს იძრობდნენ და გაშიშვლებულები ნელ-ნელა გონებას ჰკარგავდნენ, მერე ისევ ფხიზლდებოდნენ, ტიროდნენ, ვერ ინძრეოდნენ იმის შიშით, რომ კალათბურთის კალათებში ჩადებული ნაღმი აფეთქდებოდა.

მათი მამები, სკოლაში რომ ხელჩაკიდებულები მიჰყვებოდნენ, ცალკე ოთახში გაიყვანეს და დახვრიტეს. კაცები მოიშორეს.

მათი დედები, ჩვილი ბავშვებით ხელში ერთად შეყარეს, გააშიშვლეს და რა აკადრეს და რა არა, არავინ იცის.

ბესლანის ამბები მსოფლიოს ყველა ადამიანს დღესაც ზარავს და ალბათ, წლებია საჭირო, რომ ოდნავ მიივიწყონ ის, რაც ტელეეკრანებზე ნახეს თუ გაიგონეს.

ბესლანი ჩემს ცნობიერებაში კი აღდგა როგორც სიმშვი-



დის, კეთილი მასპინძლის და ღიმილიანი ადგილის სიმბოლო. პირველკლასელი ვიყავი, როცა მშობლებმა საზაფხულოდ ჩრდილო კავკასიის კურორტზე წამიყვანეს. გზად ბესლანში შევჩერდით. სულ სხვა ჰავა ვიგრძენი და მესიამოვნა – თბილი, მაცოცხლებელი. ხალხი ღიმილით დაგვხვდა. ხალხი იცინოდა სიკეთისაგან. ღამის გასათევად ბევრგან გვეპატიჟებოდნენ. ერთ ოჯახში შევჩერდით და ისე გაგვიმასპინძლდნენ, მეგონა ახლო ნათესავები იყვნენ. ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და ბავშვებს – არა!

მახსოვრობაში თბილი ქალაქისადმი მიძინებულმა სიყვარულმა გაილვიძა და შემზარა – თითქოს ჩემი ახლობლის შვილიშვილები დახოცეს.

ჩავციებივარ ინტერნეტგვერდს და ვკითხულობ სასწაულებრივად გადარჩენილი პირველსკოლელის, ათიოდე წლის ბიჭის მონაყოლს: ბედმა გაუღიმა და წყლის დასალევად დერეფანში გაუშვეს, იმ წუთს აფეთქების ხმა გაისმა. რომ მობრუნდა, ადგილი, სადაც თანაკლასელებთან იყო ჩამჯდარი, უბავშვებო დაუხვდა. ეს ის ბიჭუნაა, გაზეთის ფურცლებიდან კეფაზე ხელებშემოწყობილი, ნახევარი სახით რომ იმზირება. აფეთქებას არეულობა მოჰყვა, ბიჭი ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა. „გვაწამებდნენ, საკუთარ შარდს გვასმევდნენ, ყოველ წუთს აფეთქებით გვემუქრებოდნენ“ – იხსენებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ.






საშინელება მერეც იყო, როცა თავის გადასარჩენად გაქცეული დამნაშავეები ფარად ცოცხალ ბავშვებს იფარებდნენ და ტყვიები ამ „ფარებს“ ხვდებოდა.

არსად არ ვამბობ სიტყვა ტერორისტს. ისინი ადამიანები არ იყვნენ, არც მხეცები. მხეცმაც იცის შებრალება. ისინი ორფეხა ურჩხულები იყვნენ, რომლებმაც ათასამდე ადამიანი იმსხვერპლეს (დიდი, პატარა, მშობელი, მოსწავლე, მხსნელად მოსული გადამრჩენელი). ზუსტი ციფრი დღესაც დაუდგენელია. შეარყიეს ადამიანთა სული, გონება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს ბავშვების ფსიქიკას, მათ სკოლაში მისვლა ეშინიათ.

რატომ? რატომ? რატომ?

ყველა ნორმალურ ადამიანს უჩნდება ეს კითხვა და პასუხს ელიან.

რატომ არ ამბობს რუსეთის ხელისუფლება სიმართლეს?

რატომ აბრალებენ პირველ გასროლას დატყვევებულთა მამებს?



რატომ გამოიყენეს უუნარო შენაერთები და თავიდანვე არ ჩართეს მოქმედებაში „ალფას“ წევრები.

რატომ ჩაფრინდა დაჭრილთა მოსანახულებლად პუტინი ბესლანში შუაღამისას და არა დღისით?

რატომ აბრალებს იგი სხვა უდანაშაულო ქვეყანას თავისი პოლიტიკით გამოწვეულ დანაშაულს?

რატომ არ ამახვილებს ყურადღებას კოკოითის საეჭვო მანქანებზე და მის უსწრაფეს ვიზიტზე ბესლანში?

რატომ აპირებენ გამოძიებას საიდუმლოდ და არა სახალხოდ?

რატომ დევნიან, აპატიმრებენ და აწამებენ სიმართლისმთქმელ ჟურნალისტებს?

იმ იმედით, რომ ყველაფერს ნათელი მოეფინება, უნდა დავიცადოთ. ხალხი არავის არაფერს აპატიებს.

**ლია კაკაბაძე**

# დიპლომატი ქალბატონი

**„ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლების, უშუალოდ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თამამ გადაწყვეტილებად სხვა ქვეყნის მოქალაქის, საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურში გამოზრდილი სალომე ზურაბიშვილის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად მოწვევა ითვლება. თუმცა ამით სამინისტროში ცვლილებები მხოლოდ დაიწყო. მინისტრი ქალბატონის ხელმძღვანელობით საქართველოს დიპლომატიური კორპუსის გადახალისება მოხდა. შეიცვალა ელჩები, რის შედეგად იორდანიაში, ლიბანის რესპუბლიკაში, საუდის არაბეთში, ქუვეითში, გაერთიანებულ არაბთა საემიროებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობა 37 წლის ეკატერინე მიქაძეს ერგო.**



ეკატერინე მიქაძე

რამდენიმე ქვეყნის ელჩობა თავისთავად რთული საქმეა. მითუმეტეს, თუ აზიაზე ვსაუბრობთ და ელჩად ქალ-დიპლომატს წარვგზავნით. ეს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან გადადგმული კიდევ ერთი თამამი ნაბიჯია. იმ დროს, როცა ხსენებულ ქვეყნებთან საქართველო პოლიტიკურ ურთიერთობებს, შეიძლება ითქვას, თავიდან აწყობს. თუმცა ქ-ნი ეკატერინე საკმაოდ კარგად იცნობს რეგიონს, რიგ ქვეყნებში მეუღლესთან ერთად უცხოვრია კიდეც და უმუშავია.

– ჩემთვის ძალიან დიდი სიურპრიზი იყო, როცა ამ ხუთი ქვეყნის ელჩობა შემომთავაზეს. თავს ისეთ გამორჩეულ პიროვნებად არ ვთვლი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მქონდეს გაკეთებული. ამდენად, ძალიან ბედნიერი ვარ ნდობისათვის, რომ საშუალება მომეცა თორმეტი წლის შემდეგ კვლავ ჩემს ერს ვემსახურო, სამშობლოს გამოვადგე. ეს ნდობა ჩემი შესაძლებლობების გამოცდაა, – გამანდო ინტერვიუზე შეხვედრისას ქალბატონმა ეკატერინემ. ჩვენი საუბარი საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ საკონფერენციო ოთახში შედგა. საქართველოს პარლამენტში მისი დამტკიცების შემდეგ ელჩი წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ შეხვედრაზე უარი არ თქვა. იგი ოდნავ ღელავდა. აღიარა კიდეც, ჟურნალისტებთან ურთიერთობას მიუჩვეველი ვარო.

### პირველი ნაბიჯები

1992 წელს სამოქალაქოომგადატანილ ქვეყანას ჯერ კიდევ სამხედრო საბჭო მართავდა და საქართველოს მეთაურის აპარატი ყალიბდებოდა. მაშინ სახელმწიფო სტრუქტურებთან საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილება ჩამოყალიბდა, რომელსაც გელა ჩარკვიანი ხელმძღვანელობდა. სწორედ მან მოიწვია დიპლომატიურ სამსახურში ერთწლიანი პრაქტიკის შემდეგ ტურინიდან დაბრუნებული თსუ-ის აღმოსავლური ენების კურსდამთავრებული ეკატერინე მიქაძე. ახალგაზრდა სპეციალისტი გულით სწავლის გაგრძელების სურვილს ატარებდა. ამის საშუალება მას 1993 წელს მიეცა, როდესაც საფრანგეთში გაემგზავრა. 1995 წლამდე, პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატთან თანამშრომლობას აგრძელებს.

### ქმარი

სწორედ პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში გაიცნო ეკატერინემ თავისი მომავალი მეუღლე. ასევე, საზღვარგარეთ სასწავლებლად ჩასული გერმანელი გრეგორ მეიერინგი. 1994 წელს მათ პარიზში ნიშნობა აღნიშნეს, ხოლო 1995 წელს ქორწილი გადაიხადეს. აქედან ეკატერინე მეიერინგ-მიქაძის ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. იგი საცხოვრებლად ბერლინში გადადის და სამეცნიერო მოღვაწეობას იწყებს. იგი სამშობლოსგან მოწყვეტილად თავს არ გრძნობს, სამეცნიერო ნაშრომის თემაც ხომ საქართველოს აკავშირებს და თბილისსაც ხშირად სტუმრობს. ბერლინში მან მსოფლიო კულტურათა სახლის პროექტის მენეჯერობა იტვირთა. საქართველოს პატრიოტი გერმანელი მეუღლე გრეგორ მეიერინგი ყოველმხრივ ხელს უწყობს. ეკატერინემ საქართველოს მოქალაქეობა შეინარჩუნა.

– მე და ჩემი მეუღლე, ორივენი მახლობელი აღმოსავლეთის ექსპერტები ვართ. თავიდანვე ტანდემი შევქმენით და აგერ 10 წელია, რაც აზიის სხვადასხვა ქვეყნებში ვცდილობთ ერთად ვიმუშაოთ. ზოგჯერ ეს არ ხერხდება, რათა ინტერესთა კონფლიქტი არ წარმოიქმნას. მაგრამ ჩემთვის უდიდესი გამოცდილებაა, თუ საშუალება მეძლევა ანაზღაურების გარეშეც ვიმუშაო. თითქმის ყოველ ორწელიწადში ერთხელ არაბეთის ახალ სახელმწიფოში ცხოვრებას და მუშაობას ახლიდან ვაწყობთ. შეიძლება ითქვას, ამ წლებში უდიდესი გამოცდილება დავაგროვე. ჩემი მეუღლე დღესაც იორდანიაში იმყოფება და კონსულტანტად მუშაობს.

ცხოვრების ეს პერიოდი ეკატერინესთვის ნაყოფიერი გამოდგა. რადგან საყვარელ ადამიანთან ერთად იყო და მუშაობის საშუალებაც ეძლეოდა. იგი საფრანგეთის თანამედროვე ინსტიტუტში მახლობელი აღმოსავლეთის საკითხებს იკვლევდა. მაშინ დუბაიში ცხოვრობდა, სადაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოქალაქეთა ემიგრაციას შეისწავლიდა. საუდის არაბეთში ცხოვრებისას გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის კონსულტანტი გახდა. აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოსთანაც აქტიურად თანამშრომლობს. მაშინ ეკატერინემ საუდის არაბეთის ხუთწლიანი განვითარების გეგმის მასალებზე იმუშავა (თარგმანი და რედაქტირება).

### დაბრუნების სურვილი

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქე გულისყურით ადევნებდა თვალს სამშობლოში მიმდინარე ცვლილებებს, იმ პოზიტიურ ძვრებს, რომლითაც მთელი საქართველო ენთუზიაზმით ცხოვრობდა. მაშინ მასაც რაღაც დიდის მოლოდინი ჩაესახა და განიზრახა კვლავ

# აზიაში წარმოგვადგენს

ერის სამსახურში დაბრუნება. ეკატერინემ საკუთარი ავტობიოგრაფია საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოგზავნა, იმ იმედით, რომ დიპლომატიურ სამსახურში ნამუშევარ სპეციალისტს გამოეხმაურებოდნენ. ამიტომ ძალიან გაუხარდა, როდესაც თბილისში ჩამოსული ქ-ნ სალომე ზურაბიშვილთან და მის მოადგილესთან გასაუბრებაზე დაიბარეს. პოზიტიურ მოულოდნელობად იქცა ისიც, რომ არჩევანი მასზე გაკეთდა.

### პირველი დავალება მიღებულია

– ჩემთვის მთავარია ამ ქვეყნებში ნდობის მოპოვება, მათთვის ჩვენი პოლიტიკური კურსის გაცნობა. ამით საქართველო ახალ მეგობრებს შეიძენს. ასე გავაღრმავებთ კონტაქტებს არაბულ ქვეყნებთან, სადაც ნაკლებად გვიცნობენ. მართალია, რიგ ქვეყნებთან საქართველოს, რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ეკონომიკური ურთიერთობებიც ჩამოუყალიბდა. ასე მაგალითად, ქუვეითის ფონდი ჩვენთან გზების რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებს. ახლა თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება. პირველ პრიორიტეტს სწორედ დღევანდელი პოლიტიკური რეალობის გაცნობა წარმოადგენს. მე და სხვა ელჩებმაც საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მივიღეთ დავალება ეკონომიკური თანამშრომლობა გავაღრმავოთ, ჩვენ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას შევუწყოთ ხელი. მოგეხსენებათ, ამ კუთხით სპარსეთის ყურის ქვეყნების პოტენციალი.

**– რას გვეტყვით ქართულ კულტურულ ძეგლებზე და იმ ემიგრანტებზე, რომლებიც საქართველოდან სამუშაოდ დროებით არიან წასულები?**

– დიახ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა, რისთვისაც ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობას ვაპირებ. მოგეხსენებათ, „წმინდა მიწა“ დღევანდელ იორდანიას და ლიბანსაც მოიცავს. აქ ქართველები ისტორიულად ყველაზე აქტიურები ვიყავით. რა თქმა უნდა, ქართული კულტურის კერები არსებობს.

სტამბულში ქართული კათოლიკური სავანის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი პირი შალვა ვარდიძე გახლდათ, რომელიც ბეირუთში ლექციებს კითხულობდა. მის მოღვაწეობას ას წელს მიტანებული თვითმხილველი ლიბანელები დღესაც იხსენებენ. ამგვარად, ჩვენი კვალი მნიშვნელოვანია. დღეს გაერთიანებულ საემიროებში ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და მოღვაწეობს. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისგან თანადგომა სჭირდებათ.

**– პირველი დავალებებიდან კიდევ რას გამოჰყოფდით?**

– შეიძლება ითქვას, ახლიდან ვქმნით საელჩოს. მისი მოწყობა თავიდან მომიწევს. ახლიდან საქმის დაწყება უფრო საინტერესოა, ძალიან დიდი იმედით შევყურებ მომავალს.

დასახული მიზნებიდან გამოვყოფდი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში თანამშრომლობის გაღრმავებას. არის არაბული ქვეყნები, საიდანაც მოდის ეს საფრთხე. ზოგი თავად ხდება ამის მსხვერპლი. მოგეხსენებათ, ტერორისტული ქსელის ლიდერის ბენ ლადენის თაობაზე, რომელიც აშშ-ს განადგურებით დაემუქრა. მაგრამ ნაკლებად ცნობილია, რომ უფრო ადრე იგი საუდის არაბეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობას შეეცადა. ამ მხრივ იორდანიასაც ჰქონდა პრობლემები, როდესაც ალ-ქაიდამ უშიშროების კომიტეტის აფეთქება სცადა. ასე რომ, ტერორიზმისგან არავინაა დაცული. ამიტომ აღნიშნული პრობლემა კონტროლზე აყვანას საჭიროებს, რომ მუდმივი მონიტორინგი განვახორციელოთ სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან ერთად. ვთვლი, რომ ამ პროცესში საელჩოებიც აქტიურად უნდა ჩაერთონ. დღევანდელმა ტერორიზმმა სახე იცვალა. მან საზღვრები აღარ იცის. იქმნება ტერორისტული ქსელები, რომელთა საქმიანობის პრევენცია უფრო და უფრო რთულდება.

**– რა კომენტარს გაუკეთებდით ბესლანის ტრაგედიას?**

– მინდა სამძიმარი მოვახსენო იმ ოჯახებს, რომლებსაც ყველაზე მეტად შეეხო ეს ტრაგედია. ამან კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ტერორიზმისგან არავინ არა ვართ დაცული. ვისურვებდი, ასეთი რამ აღარ განმეორებულიყოს, რადგან აქ საქმე ეხებოდა ბავშვებს, ხოლო ბავშვებისადმი აგრესიას არანაირი გამართლება არ მოეძებნება.

**– და ბოლოს, ჩვენი ჟურნალის მკითხველს დააინტერესებს, როგორია დღეს არაბულ ქვეყნებში ქალთა ყოფა?**

– ამ მხრივ მათ ჩვენგან ბევრი რამის სწავლა მოუწევთ. სხვათაშორის, 2003 წლის გაეროს ანგარიშში არაბულ სამყაროში განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს შორის მოყვანილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების წინსვლისთვის ხელისშემშლელი გარემო. აღმოსავლეთის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად იქცა ის, რომ ქალბატონები სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობას მამის ან მეუღლის პოლიტიკური ტრადიციების გაგრძელების მიზნით იწყებენ. რიგ ქვეყნებში, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლები არჩევნებში დამარცხდნენ, მათთვის სპეციალური ქვოტების სისტემაც შემოიღეს. ასე მოხდა იორდანიასა და მაროკოში. მაგრამ საუდის არაბეთის ქალებს ემანსიპაციის მოსაპოვებლად კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი. საინტერესო ფაქტია: აქ ეკონომიკურ სტრუქტურებში ქალები დიდ როლს თამაშობენ და საკმაო გავლენაც აქვთ, მა-



● ეკატერინე მეუღლესთან ერთად

გრამ პატრიარქალურ წყობაში მათი როლი მაინც იზღუდება. ამ საზოგადოებაში ქალს ტრადიციულად ოჯახის, დედის და მეუღლის ფუნქცია აკისრია. ინფორმირებული ვარ იმაზეც, რომ ახლა მთელი რიგი კანონპროექტები მუშავდება მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგალითად, იორდანიის მეფემ შეძლო პარლამენტში გაეტანა თავისი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ქალებმა მოიპოვეს უფლება შვილებს მემკვიდრეობით გადასცენ მოქალაქეობა. ასეთი შეზღუდვა ლიბანში კიდევ მოქმედებს.

ესაუბრა **თამარ ნინიძე**

# ხალხო, მინდა დაგეხმაროთ!

## ცნობილმა მკურნალმა ნათელა იმერლიშვილმა წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს



ამ რამდენიმე წლის წინ, პრესაში გამოქვეყნდა განცხადება, რომ ვერაზე განახლებულ-სადიაგნოსტიკო გაერთიანება „ფანასკერტელში“ დამონტაჟდა ამერიკიდან მიღებული კომპიუტერული ლაბორატორიის დანადგარები, სადაც ტარდება კლინიკური და ბიოქიმიური ანალიზები.

ამერიკული ლაბორატორიის თბილისში ჩამოტანა, ცხადია სენსაციაა, მაგრამ არანაკლები სენსაცია „ფანასკერტელში“ ისეთი ფენომენის გამოჩენაა, როგორიცაა ქალბატონი ნათელა იმერლიშვილი. ეს ის განსაცვიფრებელი მკურნალია, რომელმაც შესძლო „დაეპყრო“ ისრაელი, რითაც ასახელა საქართველო საზღვარგარეთ. მობრძანდით და დარწმუნდებით!

ქალბატონმა ნათელამ „ფანასკერტელს“ დასდო პატივი და კვირაში ერთ დღეს, სახელდობრ კვირას, ჩვენთან შეარჩევს პაციენტებს.

ნათელა იმერლიშვილი გახლავთ ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის წევრი. ამავე დროს, ქალაქ ბათიამის (ისრაელი) პროფკავშირისა და კულტურის სახლის საპატიო წევრი; ბულგარეთის ნაციონალური ასოციაცია „ფენომენის“ (ფენომენთა სახლი) საპატიო წევრი, პირველივე დღიდან საქართველოს ნაციონალური მოძრაობის წევრი და რაც მთავარია, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის გულმხურვალე მრევლი 1977 წლიდან.

სასწაულმოქმედი მკურნალი არჩენს თითქმის ყველა დაავადებას (ამაზე მიგვანიშნებს ათასობით ავადმყოფის მადლობის წერილი): ავთვისებიანი სიმსივნის ზოგიერთ ფორმას, განგრენას, მენისკს, დიაბეტს, პარკინსონს, ეპილეფსიას, „C“ ჰეპატიტს და ნებისმიერ ადამიანს „ახალ“ ღვიძლს, ახალ ნაღვლის ბუშტს ჩაუდგამს (ეს შემთხვევები ჰქონდა).

მის საოცარ ცხოვრებაში სამი დიდი მომენტი არის: ბიოენერგომკურნალი, ახალი წამლების შემქმნელი და ღვთის ნებით წიაღისეული სიმდიდრის აღმომჩენი.

* * *

**– ქალბატონო ნათელა, გვიამბეთ თქვენზე, სად დაიბადეთ, სად გაატარეთ ბავშვობა, სად შეიგრძენით ღმერთთან სიახლოვე და ადამიანების განკურნების ძალა?**

– დავიბადე გორის რაიონის სოფელ სკრაში. გავიზარდე მრავალშვილიანი ბებიის კალთაზე, რომელსაც თერთმეტი შვილი ჰყავდა და მეთერთმეტე დედაჩემი იყო. ბებია განა ღვთისნიერი ქალი, ცნობილი მკურნალი, ბალახების დიდი მცოდნე გახლდათ და 120 წელი იცოცხლა.

ალბათ, ბებია პატარაობიდანვე მამჩნევდა, რომ მისი გზის გამგრძელებელი ვიქნებოდი და ამიტომ დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა ბალახების საიდუმლოებებზე. მასწავლიდა მალამოებისა და წამლების დამზადებას, დავყავდი ეკლესიაში და ერთად ვანთებდით სანთლებს.

სამი წლისას წითელა ბატონები დამემართა და სამი დღეღამე მეძინა. ეს დიდი სენსაცია იყო როგორც ჩემი ოჯახისთვის, ასევე სოფლისთვისაც. მას შემდეგ სხვა თვალით ვხედავ სამყაროს და ეს მომყვება დღემდე.

სპეციალობით ვარ ეკონომისტი. მაქვს 40 წლის მუშაობის სტაჟი. კომუნისტების დროს ბევრ სფეროს ვხელმძღვანელობდი, მაქვს უამრავი ჯილდო და მადლობა.

ჩემი მედიცინაში გადართვა 1985 წელს მოხდა, როცა ვულკანივით ამოხეთქა მძლავრმა ენერგიამ და ჩემი გადასხვაფერებაც აქედან დაიწყო. მეგობრების რჩევითა და დახმარებით მოსკოვში, ჯუნა დავითაშვილთან ჩავედი. იქ დამიდგინეს, რომ მქონდა კოლოსალური სიმძლავრის ბიოდენები, რა თქმა უნდა, გავიარე სპეციალური კურსები და გადმომცეს ჯუნას წითელი დიპლომი. ამის შემდეგ, მეორე ჯუნას მეძახდნენ.

თბილისში ბიოენერგომკურნალად მიმიწვიეს ქალაქის მე-9 პოლიკლინიკაში, მერე – მე-9 საავადმყოფოში. განკურნებული მყავს უამრავი ადამიანი, ვებრძოდი უმძიმეს დაავადებებს და დღესაც მიკვირს, რა ძალით ვიღებდი გადაწყვეტილებებს. ზოგჯერ მეშინოდა კიდეც, ვაი თუ, ვერ მეშველა, მაგრამ ყოველთვის ვიმარჯვებდი. ეს ყველაფერი ღვთის ძალით ხდებოდა. ამაში ახლა უფრო ვრწმუნდები, რადგანაც არ არსებობს დაავადება, რომ არ მოვარჩინო.

მთელს საქართველოში ხმა გავარდა ჩემს ყოვლისშემძლეობაზე. ჩვენს ქუჩასა და სამსახურს ხალხის ნაკადი მოაწყდა. თვეობით იდგნენ ტკივილებით გატანჯული ადამიანები რიგში. ვეღარ ავუდიოდი „მოძალებულ“ ავადმყოფებს, მაინც არავის ვტოვებდი უყურადღებოდ.

ისრაელშიც ჩაიტანეს ამბავი ჩემი სასწაულებრივი მკურნალობის შესახებ და იქაურმა შეჭირვებულმა მეგობრებმა მთხოვეს ჩასვლა. არ იფიქროთ, მარტო ავადმყოფების სამკურნალოდ წავედი; მინდოდა წმინდა მიწის მონახულება, მინდოდა იქ მელოცა და ჩემი ქვეყანა შემევედრებინა უფლისათვის.

1990 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და ნაკურთხი კელაპტრებით ბეთლემში შობას, ხოლო აღდგომას ქალიშვილთან, ლიასთან ერთად გოლგოთაზე ლიტანიობას დავესწარი, მაშინ მძიმე დღეები ედგა საქართველოს და მუხლდაჩოქილი ტირილით ვევედრებოდი ღმერთს ჩემი ერისა და სამშობლოს გაძლიერებას. იქიდან მოყოლებული ათი წელია, ექვსი თვით ყოველთვის ვიმ-



● ქალიშვილი ლია იმერლიშვილი



● საქართველოსთვის ლოცვა წმიდა გოლგოთაზე

ყოფები ისრაელში.

იქ ვუმკურნალე ბევრ გაჭირვებულს. მოდიოდნენ დადამბლავებულნი, შაქრიანი დიაბეტით, კუჭის წყლულით, თირკმელებით, გულით დაავადებულნი; მოდიოდნენ ყრუები, თავ-პირის სხვადასხვა დაავადებით, ოსტეოქონდროზით, წელ-მენჯის ტკივილებით შეპყრობილნი და მძიმე სიმსივნით გათანგულნი. განვკურნე ქალი, რომელსაც ორივე მკერდი მოსაჭრელი ჰქონდა. ამ შემთხვევამ შესძრა მთელი ისრაელი.

ღვთიური ძალის გარეშე ერთი წუთითაც არ მიცხოვრია, მუშაობის დროს, მისი კარნახით ვმოქმედებ. მკურნალობის დაწყების წინ, ღმერთს ვევედრები დახმარებას და თუ პაციენტიც მორწმუნეა, მაშინ უფრო მიადვილდება მისი მორჩენა.

1995 წელს ჩემს ეზო-კარში ავაშენე მინი კლინიკა და პატარა ეკლესია, რომელსაც „გოლგოთა", ხოლო კლინიკას „მოქცევა" დავარქვი. აქ ბევრი სასწაული ხდება, ერთხელ ეკლესიაში კანდელი თავისით აინთო, ხოლო კლინიკაში ბევრ უიმედო და სასოწარკვეთილ პაციენტს, ღმერთის წყალობით, სიცოცხლე დავუბრუნე.

**— ახლახან პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მასაჩუსეტრის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს ცილა, რომელსაც შეუძლია ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს და 120 წელი იცოცხლოს. თქვენმა წინაპარმაც ამდენხანს იცოცხლა. ახალი წამლებით ხომ არ გვპირდებით უკვდავებას?!**

— ღმერთის კარნახით მეწოდება ცოდნა სამკურნალო ბალახებისა და წამლების შესახებ. ეს იმდენად დაუჯერებელ ზღაპრად მოეჩვენა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, რომ ლიცენზია არ მომცეს. ამიტომ საკუთარი, ორსართულიანი სახლი დავაგირავე და ბულგარეთში წავედი, „სოფიის ფენომენთა ასოციაციის სახლს" მივაკითხე. იქ დაიწყო წამლების გამოცდა. ექვსი თვის ლოდინის შემდეგ, წამლებმა გაამართლა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი წუთები. მე და ჩემი ქალიშვილი სიხარულს ვერ ვმალავდით, როცა მათ საზეიმო ვითარებაში გადმომცეს წამლის სერტიფიკატი, პარაფსიქოლოგის დიპლომი და მსოფლიო სტანდარტების დონის ფიტოთერაპევტის სერტიფიკატი.

ამჟამად მაქვს სამი სახის წამალი, რომელიც ქართველ ხალხს ბევრ სიკეთეს მოუტანს და მეოთხე — ძალზე რთული შემადგენლობის, მართლაც სასწაულების მომტანი, მართლაც უკვდავების წამალი, რომლის დამზადებასაც ლაბორატორია და ფული სჭირდება.

თუ აქამდე, მე ვეხმარებოდი ყველას: უფასოდ ვმკურნალობდი მრავალშვილიან დედებს, 9 აპრილის ტრაგედიით და სტიქიით დაზარალებულთა ოჯახის წევრებს, ღარიბებს, სათნოების სახლის ბინადრებს, ახლა მე ვარ იქით დასახმარებელი: მეშინია, არ დავკარგო სახლის მეორე, პატარა ნაწილიც და „გოლგოთა"...

**— თქვენ დააარსეთ სამკურნალო სამეცნიერო — ფიტოთერაპიული საქველმოქმედო ასოციაცია „მოქცევა", სოფელში აღმოაჩინეთ საბადო. რას ემსახურება ასოციაცია და რას ფიქრობთ საბადოს თაობაზე?**

— 1998 წელს, როდესაც მეათედ დავბრუნდი ისრაელიდან, ჯერ კიდევ იქ, მომეწოდა ინფორმაცია, რომ ჩემს სოფელში უნდა მეძებნა დიდი სიმდიდრე და მართლაც, აღმოვაჩინე მწვანე თიხა, სამკურნალო წყალი, ნავთი, გაზი და მინერალების დიდი საბადო.

ჩემი ასოციაციის ძირითადი მიზანია, საქართველოში აღარ იყოს ამდენი გაჭირვებული, ხელგაწვდილი, დავრდომილი ადამიანი. ეს მდგომარეობა პირადად მე და ყველა მორწმუნე ქრისტიანს სიცოცხლეს გვიმწარებს, სასოწარკვეთილებაში გვაგდებს. ამიტომ გვესაჭიროება სპონსორი ან ხელისუფლების თანადგომა, რომ ჩემი მოპოვებული სიმდიდრე ხალხის სამსახურში ჩავაყენო, ხოლო ვინც გამომეხმაურება და დახმარებას გაგვიწევს, მას ძალიან დიდი სასწაულებრივი გამარჯვება ელოდება, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

* * *

ნათელა იმერლიშვილმა წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, სთხოვა მიღება, სურს მოუყვეს თავისი შექმნილი უნიკალური წამლებისა და საბადოს აღმოჩენის შესახებ.

„...მე შევქმენი წამალი, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ჯერ არ გამოუგონიათ. მე შემიძლია ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთო, როგორც მედიცინაში, ასევე ეკონომიკაში, გავაკეთო ღმერთის წყალობით და სასწაული მოვახდინო ჩვენი ქვეყნისა და თქვენს გასაძლიერებლად...

ბატონო პრეზიდენტო! მე მაქვს არაჩვეულებრივი პროგრამა, რომლის მსგავსსაც ვერავინ შემოგთავაზებთ — „ახალი სოფელი ახალი საქართველოსთვის"...

ესაუბრა **ირმა ჩოფიკაშვილი**

# ვისთვისაც მთავარია ოჯახი და მედიცინა

აუტანელი თბილისური სიცხის გამო ექიმების ერთ მშვენიერ ოჯახს ვესტუმრე აგარაკ ბაზალეთში. მომხიბლავი, ენაწყლიანი მოსაუბრე, მრავალმხრივ განათლებული ოჯახის ნამდვილი ბურჯი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სამედიცინო აკადემიის დოცენტი გივი მაყაშვილი აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის და პერინატოლოგიის ს/კ ინსტიტუტში მოღვაწეობს. აქვე მუშაობს მისი ვაჟიშვილი ლევანიც. მეუღლე – დალი ჯულელი სტომატოლოგია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. რძალი ნატაც სტომატოლოგიას ეუფლება. ანანო და გივიკო ჯერ ისეთი პატარები არიან, არავინ იცის რა სპეციალობას აირჩევენ. არა მგონია ექიმების დინასტიას უღალატონ. ბატონ გივისთან მედიცინის გარდა ნებისმიერ თემაზე თავისუფლად შეიძლება საუბარი. ზედმიწევნით ყურადღებიანი, ხელგაშლილი, პურმარილიანი ადამიანია. განსაკუთრებულ დღეებში საგულდაგულოდ გაშლილ სუფრაზე მაგიდის თავში მოკალათება უყვარს, თამადობაში ვერავინ შეედრება. ამჯერად ის ჩვენი ჟურნალის სტუმარი გახლავთ.



● გივი მაყაშვილი

**– ბ-ნო გივი, საქართველოში რამდენიმე გამორჩეული გვარია, თქვენი – ერთ-ერთი იმათგანი, მის წარმომავლობაზე რას გვეტყვით, მარო მაყაშვილის შთამომავალი ხომ არ ბრძანდებით?**

– საქართველო მდიდარია არისტოკრატული გვარებით. უმეტესობა თავად-აზნაურთა შთამომავალია... არის გვარები, რომელთაც დამსახურების მიხედვით ებოძათ წოდებები. მათ შორისაა მაყაშვილები. ცნობილი ექიმის ვაჟმა იური ჩიქოვანმა შექმნა ქართული გვარების გენეალოგია. მე-4 ტომი ქართველი თავად-აზნაურებისადმია მიძღვნილი, იქ ვნახე მაყაშვილების გენეალოგიის ხე. მე-11 საუკუნეში როსებ მაყაშვილი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქიც ყოფილა, ერთ რამედ ღირს, კაცი ამაყად რომ იტყვის, ჩემი ქმედებით გვარი არ შემირცხვენიაო. არ ვგულისხმობ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს, რაც მუდამ არსებობდა თავადაზნაურთა წრეებში. ზემო მაყაანელი მარო და კოტე მაყაშვილები იყალთოდან გახლდნენ. ჩვენ რუისპირელები ვართ. ეხლაც შემორჩენილია ჩვენი საგვარეულო სამლოცველო თავისი გალავნით. ეს მამაშვილი გვარის საამაყონი იყვნენ: მარო – სამშობლოსათვის თავშეწირული, კოტე – ქართული პოეზიის მშვენება.

**– ოჯახის შექმნისას ფიქრობდით მეუღლეც სახელოვანი გვარიშვილი ყოფილიყო? ქ-ნი დალი თუ არ გვიწყენს, ახალგაზრდობაში, როგორც გამიგია, მომხიბლავ მამაკაცად მიიჩნეოდით, ბევრისთვის სასურველ სასიძოდ.**

– თუ ეს მართლაც ასე იყო, რასაც მეკითხებით, იმდროინდელმა ქალბატონებმა გაიხსენონ. პატიოსან მამაკაცთა კატეგორიას ვეკუთვნოდი. ბებიაჩემი ნინო ციხისთავი, თოჯინასავით ლამაზი ქალი, ამაყობდა თავისი წარმომავლობით, გვარიშვილობით, მაყაშვილების რძლობით. ჩაგვჩიჩინებდა გვარიშვილობა არ შეგვერცხვინა. დაწყევლილ 1937 წელში დავიბადე. ოცდაოთხიან წლებში დიდი უბედურება დაატყდა თავს ჩემს ოჯახს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბიძაჩემის ნათლია იყო, ჩვენი გვარი ლამის მიწასთან გაასწორეს. ერთ ღამეში თითქმის ერთიანად ამოწყვიტეს ვაჩნაძეები, ჯანდიერები, აბელიშვილები, ვახვახიშვილები, ჩოლოყაშვილები, ყარალაშვილები და ა.შ. პაპაჩემი იასონ მაყაშვილი ოთხი შვილის მამა, ჭკუასაკითხავი კაცი, მუდამდღე ელოდა აწიოკებას, თუმცა დიდ პატივს სცემდა მთელი სოფელი. ერთ ღამეს მას დააკისრეს ერთი ურემი ქალები და ბავშვები შუამთის ტყეში გადაეყარა. პაპაჩემმა გმირობის ტოლფასი რამ მოიმოქმედა, ურემი სოფელს გაარიდა და ხალხი გააქცია. მეორე დღეს სოფელი ზეიმობდა „სისხლისმსმელი“ კონტრრევოლუციონერები მოვიცილეთო. პაპაჩემს მთელი სოფელი გადაეფარა და რაკი ამ უბედურებას გადაურჩა, გადარჩენილიშვილის გვარით გადანათლეს. ეს გვარი 1958 წლამდე შემოგვრჩა. ამ გვარით შეწირა თავი სამამულო ომს მამაჩემმა და ორმა ბიძამ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს დალი ჯულელს, არც თუ ისე უბრალო გვარიშვილია, მამა სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის კათედრის გამგე ჰყავდა, დედა – სტომატოლოგი, თვითონ ჩემი სტუდენტი იყო.

**– როგორი ბავშვობა გქონდათ, ბრაზიანი იყავით, მუშტებზე იყურებოდით?**

– კლასში ტანით ყველაზე პატარა ვიყავი. რომ არავის დავეჩაგრე, პატარაობიდანვე მივდევდი სპორტს. ტანვარჯიშში მაღალი თანრიგები დავიმსახურე. არასოდეს ვყოფილვარ კონფლიქტური, თუმცა თავის დაცვა შემეძლო. ამის ორ-სამ შემთხვევას გავიხსენებ, პირველად ცხრამეტი წლის ვიყავი, ჩემს ლამაზ დედას ქუჩაში რომ უღირსად შეხედეს ახალგაზრდებმა და მეორედ ინსტიტუტში სწავლისას უსამართლობამ ამაღებინა მუშტი.

**– ბ-ნო გივი, დედაზე გვიამბეთ, ხშირად გითქვამთ, ჩვენ სხვანაირი დედა-შვილობა გვქონდაო.**

– დედაჩემი თამარ ელოშვილი მოხევის ქალი გახლდათ. საოცრად თბილი, მოსიყვარულე. კახური სიჯიუტე და მოხევური ფეთქებადი ხასიათი ჭარბობდა მასში. სიმართლისმოყვარულს პირდაპირობა ახასიათებდა. 19 წლით უფროსი იყო ჩემზე. მამა ორმოცდასამში დაიღუპა, ოცდახუთი წლის დაქვრივდა. მან მთელი სიცოცხლე მე მომიძღვნა. სამაგალითო ქალობა გამოიჩინა. მამაჩემის მთელი ნათესაობა ჩვენს ოჯახში იზრდებოდა. დიდი მეგობრები ვიყავით, უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. ომის დროს შუქშენილბვა რომ დაიწყებოდა და პატრულის ხმა ისმოდა ქუჩიდან, ერთ საწოლში ერთმანეთს ჩაკრულებს გვეძინა. ამხნის კაცს, რომ იცოდეთ, როგორ მენატრება! როცა გარდაიცვალა, ცრემლების არ მრცხვენოდა, ცრემლი კაცობის გამომხატველია ამ დროს, რასაც მივაღწიე, მისი უდიდესი დამსახურებაა. ჩამჩიჩინებდა კარგად მესწავლა, რომ არ დავჩაგრულიყავი. მისი სიყვარულით ვსწავლობდი თორემ, რომელ ბავშვს უნდა დღედაღამ წიგნებთან ჯდომა. ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით. 6 წელზე მეტია ის აღარ არის, გაუნელებელი სევდა დამიტოვა.

**– ვიცი, სცენის მტვრითაც იყავით ადრეულ ასაკში მოწამლული, თანაც საკმაოდ კარგად მღერით.**

– როგორც ყველა ახალგაზრდა, მეც ვიყავი ამ სენით დაავადებული. ჩემს განუმეორებელ პედაგოგებს მიუძღვით ამაში „ბრალი“. თელავის I ვაჟთა სკოლა დავამთავრე. განთქმული პედაგოგები – ნინო ბოჭორიშვილი და თამარ მახარაძე მასწავლიდნენ. რა დამავიწყებს დავით გეგელიძის წაკითხულ „ვეფხის და მოყმის ამბავს.“ ასაკობრივი ემოციები გაძლიერებული მქონდა მაშინ. ეს უსაშველოდ მაღალი, შავი, აწოწილი კაცი ულამაზესი მეგონა, ვბაძავდი, მინდოდა მასავით წამეკითხა. თელავი მდიდარი ტრადიციების ქალაქია. ვამაყობ თელავით. მისი თეატრალურობა ერეკლეს დროიდან მოდის. ჩვენი ქალაქის საამაყო მსახიობები გახლდნენ: ვახტანგ ჩელთისპირელი, პლატონ ახვლედიანი, თინა ბურბუთაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, დოდიკ სხირტლაძე, ქეთო და ვახტანგ ბოჭორიშვილები... ამ თაობამ გამზარდა, მათი ყველა სპექტაკლი ზეპირად ვიცოდი. ჩემი ჯგუფელია კაპელის უცვლელი ხელმძღვანელი გივი მუნჯიშვილი. დედას უნდოდა ექიმი გავმხდარიყავი, ამიტომ ჩემი მსახიობობის აუხდენელი ოცნება მას შევწირე. სამედიცინოზე მოულოდნელად ჩავირიცხე, ტაქსის მძღოლს ძლივს გავაგებინე სად უნდა მივსულიყავი. გზა-კვალიც არ ვიცოდი ხეირიანად, მაშინ სამედიცინოზე მოწყობა ბევრისთვის მიუწვდომელი ოცნება იყო, ამიტომ მძღოლს შევეცოდე კიდეც – გზა არ იცი და მოწყობის იმედი გაქვსო? თეატრში წასვლა დღესაც ზეიმია ჩემთვის. მთელი კვირა ვემზა-


გივი მაყაშვილი მეუღლესთან და რძალთან ერთად


ნატა და ლევანი


გივი ვაჟიშვილ ლევანთან, შვილიშვილებ ანანო და გივიკოსთან ერთად

დები. ოპერაციას, ამ ჩემს ურთულეს და უმძიმეს საქმეს, ხელოვნების მუხტით ვაკეთებ.

**– ბ-ნო გივი, ადამიანის თვისებებიდან მხიბლავს იუმორის გრძნობა, გონიერმა ადამიანმა, ჯანსაღი იუმორი ყველგან და ყველაფერში უნდა მოიშველიოს, რომ ცხოვრების წესი გაიხალისოს, თქვენ ადამიანის რა თვისებებით იხიბლებით?**

– კაცის სიცოცხლე, რომელსაც ცხვირი ნიკაპზე უდევს და უჟმურია (როგორც რუსები ამბობენ), არაფრად ღირს. იუმორი ნახევარი სიცოცხლეა. ექიმი ვარ და ვიცი, როდესაც ადამიანი ხუმრობს, იცინის, მის სისხლში ისეთი სასარგებლო ნივთიერებები წარმოიქმნება, სიცოცხლეს ახანგრძლივებს, ააქტიურებს და ალამაზებს.

**– ჩვენი ჟურნალის პროფილიდან გამომდინარე, გვაინტერესებს ბევრ დროს უთმობთ ოჯახს, შვილს, შვილიშვილებს?**

– განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია ოჯახში მამაკაცს, იგი თვალისჩინივით უნდა მოეპყრას მეუღლეს, რომლის გარეშე ნორმალური ოჯახი ვერ იარსებებს. ქალი, უფლისგან დავალებულია გადაიტანოს უმძიმესი გადასატანი, რასაც სიცოცხლის მოვლინება ჰქვია. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს როგორ იბადება ადამიანი, როგორ განსაცდელშია იმ დროს ქალი, თუ ის ნორმალურია, შეუძლებელია დიდი პატივისცემა და მოწიწება არ ჰქონდეს ქალისადმი, სწორედ იმიტომაც ავირჩიე ეს სპეციალობა. თქვენი ჟურნალის ძველისძველი მკითხველი ვარ, თქვენი კოლექტივის ყველა წევრის პატივისმცემელი. მე მათ ყველას კარგად ვიცნობ და ვეთაყვანები. რამდენიმე ჩემი პაციენტიც ყოფილა. ევროპაში მიღებულია ქმრის მშობიარობაზე დასწრება. მშობიარის დაჟინებული თხოვნით, ჩვენთანაც ყოფილა ასეთი შემთხვევები. მე ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე სხვადასხვა მოსაზრების გამო ამის წინაალმდეგი ვარ.

**– ბ-ნო გივი, (არ გეგონოთ ქათინაურს გეუბნებოდეთ), ჩემს ნაცნობებში, თქვენნაირი სიტყვის კაცი, გაუტეხელი ბუნების, მორალის დამცველი, ალბათ ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თუ მეგულება. რა არის თქვენი კაცობის საზომი?**

– მადლობთ ასეთი სიტყვებისათვის. ჩემი კაცობის საზომი, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, ის პატარა ღმერთია, რასაც სინდისი ჰქვია.

**– თქვენს ოჯახში ახლახან ერთი სასიამოვნო რამ მოხდა, რაც თქვენს ვაჟიშვილს ლევანს ეხება.**

– ჩემი ლევანი ნაგვიანევი შვილია – პირველი და უკანასკნელი. მისი გაჩენის დღიდან, როგორც ყველა ნორმალურ მამას, მინდოდა ჭეშმარიტ კაცად ჩამოყალიბებულიყო. პატარაობიდანვე თმასაც მოკლედ, ბიჭურად ვკრეჭდი. გაგვიმართლა, კარგად სწავლობდა. მისი წარმატებები მახარებს, არც თუ ურიგო ექიმი დადგა. საკმაოდ ახალგაზრდა ურთულეს სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციების ტექნიკას ფლობს. მეგობრებშიც ულალატოა, ორი შვილის მამაა. ცოტახნის წინ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, დიდი სიხარული მოგვიტანა ოჯახს და მის კოლექტივს. მხიბლავს მისი სიყვარული, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი. კლინიკიდან გამოუსვლელად შეუძლია დღეები გაატაროს პაციენტთა გვერდით.

**– თქვენნაირი დადებითი ენერგიით დამუხტული ადამიანი იშვიათია.**

– სასიამოვნოა, რომ ასე ფიქრობთ. ვცდილობ ადამიანები უარყოფითი ემოციებით არ დავმუხტო. ჩემთვის მთელი ბედნიერებაა, როცა სტუდენტები, ახალგაზრდა კოლეგები მეუბნებიან, კიდევ როდის გვექნება თქვენი ლექციაო.

**– თუ არ მეშლება, ჩინელებს ერთ დროს ჰქონდათ კანონი: ქირურგს, რომელსაც ოპერაციაზე პაციენტი შემოაკვდებოდა, ხელს კვეთდნენ.**

– ეს წესი თუ კანონი, მგონი ჩინელებს კი არა, ძველ რომაელებს ჰქონდათ, ეს უფრო ჩვენამდე მოღწეულ თქმულებას ჰგავს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინდელი ექიმებიდან ბევრი ცალხელა იქნებოდა. მედიცინაზე თავშეწირული ადამიანები, ადრეულ ხანაში, მეცნიერების წინსვლისათვის, როცა გვამის გაკვეთა კანონით აკრძალული იყო, ამას მალულად მაინც ახერხებდნენ. არსებობს სამედიცონო შეცდომა და გულგრილობა დაკისრებული საქმისადმი, რაც დასჯას იმსახურებს.

**– როგორ უყურებს გივი მაყაშვილი შერეულ ქორწინებას?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, მქონდა გარკვეული


გივიკო

შიში სხვა ერის ქალებისადმი. ფიქრში ვუშვებდი, შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, არ დაგიმალავთ, მზარავდა. ეს შიში გამიქარწყლა ჩემმა რძალმა, ყველასთვის საყვარელმა ნატაშამ, ჩვენებურად, როგორც მას ვეძახით ახლა – ნატომ. მას იმდენად მოსწონს ქართველები, ხიბლავს ჩვენი ტრადიციები, ოჯახური ადათ-წესები, ნათესაური ურთიერთდამოკიდებულებანი, რომ ოთხ დღეში ისწავლა ქართული ანბანი, ექვს თვეში თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. საოცრად საინტერესო მოსასმენია თავისი სამი წლის ბიჭუნასი და მისი რუსულ-ქართული საუბარი.

**– რა არის თქვენთვის ცხოვრებაში მთავარი?**

– ცხოვრებას რომ ახლა ვიწყებდე, მაინც ამ გზას გავივლიდი. მთავარი ჩემთვის ოჯახი და მედიცინაა, შემდეგ ხელოვნება, სცენა, თეატრი, მეგობრები...

**– თქვენი ცხოვრების წესი განსხვავებულია იმათგან, ვისაც „სხვისი მკვდარი მძინარე ჰგონია"?**

– რასაკვირველია. ვისაც სხვისი მკვდარი მძინარე ჰგონია, ის „დაცურებულია," ასეთებს სხვა სიტყვას ვერ ვუძებნი. სხვისი ჭირი გულთან არ მიიტანო, მასთან წილი არ იყარო, უცხოა ჩემთვის. გაჭირვება ისეთი აქლემია, ყველას კართან დაიჩოქებს. ნორმალური ადამიანი წარმოუდგენელია ამის გარეშე. მაშინ იქცევი ცხოველად, რომელიც მხოლოდ ჭამს და სძინავს. თუმცა, ჩემმა ძაღლმა ლომამ დედა რომ დაიღუპა, ხუთი დღე საჭმელი არ მიიკარა, ვიდრე დავკრძალეთ, მის ცხედარს ვერ მოვაცილეთ...

**– ლეონიძის სიტყვებს შეგაგებებთ – „ჭირის თქმა დამწვარ გულს ანელებს," ვინ არიან თქვენთვის ასეთები?**

– პირველ რიგში ოჯახის წევრები, რომელთაც მთელი გულით და შეგნებით შეუძლიათ გამიგონ რა მაწუხებს, კიდევ რამდენიმე მეგობარი, რომელთაც შემიძლია გავუხსნა გული. ორ მათგანს გამოვყოფ განსაკუთრებით – ქალბატონ თამარ დეკანოსიძეს და ბატონ პალიკო კინტრაიას.

**– თუ არ ვცდები, გზის გამკვლევი არავინ გყავდათ, ე.წ. „კრიშა." როგორ დაიმკვიდრეთ ადგილი, სახელი, ავტორიტეტი მედიკოსთა ფართო წრეში?**

– მესამე კურსიდან ჩემს ცხოვრებაში გამო-

ჩნდა პედაგოგი, რომელიც დღემდე ჩემი მასწავლებელი და გულითადი მეგობარია. თბილისში, ერთი უბრალო, უპატრონო, კარგად ნასწავლი კახელი ყმაწვილი ჩამოვედი. ქ-ნმა თამარ დეკანოსიძემ შემამჩნია და თავისი მფარველობის ქვეშ ამიყვანა. მათ ოჯახში (ეს იყო 60-იანი წლები) მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ქართული მეცნიერების ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ: გიორგი თავზიშვილი, ბიძინა ბალავაძე, გივი სარალიძე (ქ-ნი თამარის მეუღლე), და თავად დიდი ქალბატონი თამარი. ამ წრეში ვისწავლე ბევრი რამ, ქ-ნ თამარის „კრიშის" ქვეშ ყოფნა ნიშნავდა შრომისა და წიგნის სიყვარულს, ტვინის დაუსრულებელ ვარჯიშს, აზროვნებას მედიცინისა და ბიოლოგიის გარდა ლიტერატურაში, ხელოვნებაში და ა.შ...

**– ბატონო გივი, საგულდაგულოდ თქვენ გესადაგებათ ეს სიტყვები – „მტრობას სჯაბნის სიყვარული"!**

– ბრძნული ნათქვამია. თუ კაცს სიყვარულის უნარი არა აქვს, მას არც პედაგოგობა და სხვა რამ შეეძლება. მე რომ არ მიყვარდეს ჩემი საქმე, ჩემი ოჯახი, ჩემი სტუდენტები, მათთან ორმოცდაორი წელი ვერ ვიქნებოდი. მიფიქრია იმ ადამიანებზე, გარშემო სულ მტრობა და მტრები რომ ელანდებათ. იყავი სიყვარულით, სიკეთით, დადებითი მუხტით სავსე და ვინ რას დაგაკლებს, ვერავინ მოგერევა. ვისაც სიყვარული შეუძლია, აქა-იქ შემოპარულ მტრობასაც იოლად დაძლევს.

**– თქვენი კიდევ ერთი თვისება, გამორჩეულთა შორის გამორჩეული თამადობაა. თამადის ინსტიტუტი საქართველოში ოდითგან ფასობდა. თქვენზე ამბობენ, – ერთი კაცის ფასი თამადობა იცისო.**

– ქართული სუფრა განსაკუთრებული ინსტიტუტია. ჭეშმარიტ ქართულ, ტრადიციულ სუფრაზე მოგახსენებთ და არა დღეს მოდაში შემოსულ ეგრეთწოდებულ „ტუსოვკაზე," რომლის ქართული თარგმანი ვერსად მოვიძიე. კახეთში ამას იუმორით ტურების თავშეყრას ეძახიან. სუფრა გულისხმობს არა ღრეობას და წრეგადასულ ლოთობას, არამედ ლამაზ სუფრას, გემრიელ საჭმელებს, ნორმალურ სასმელს და რაც მთავარია, განათლებულ საზოგადოებას, რომელმაც იცის მოლხენა, ცეკვა-სიმღერა, აქვს მოსმენის კულტურა, ძალუძს ურთიერთქება სადღეგრძელოებით გამოხატონ. თამადის მოვალეობაა სიამოვნება მიანიჭოს სუფრის წევრებს.

**– რა არის თქვენი თავდაცვის იარაღი, ნიჰილიზმი თუ იმედი?**

– ბოლო წლებში საქართველოში იმძლავრა ნიჰილიზმმა, რასაც უიმედობა ჰქვია. შვილის, შვილიშვილების პატრონი ვარ, მაქვს დიდი სურვილი და იმედი რომ ჩვენი ერი მალე იცხოვრებს მძლავრ, განათლებულ საქართველოში.

**– ბ-ნო გივი, როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველს, ექიმ-გინეკოლოგს, ჭეშმარიტ დასტაქარს, ბანალურ კითხვას დაგისვამთ: რა პრაქტიკულ რჩევას მისცემდით ჩვენს ქალბატონებს?**

– ვურჩევ წელიწადში ერთხელ მაინც შეიხედონ გინეკოლოგის კაბინეტში, რომ თავი დაიზღვიონ უსიამოვნო დაავადებებისგან. დროულად გამოვლენილი ნებისმიერი დაავადება სასურველი შედეგით მთავრდება. რამეთუ, ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობა ქალზეა დამოკიდებული. შვილებს ჯანმრთელი დედები სჭირდებათ.

**ნანული ბუკია**

# ნინო და ლევანი

ერთ-ერთი უცხოელი მწერლის ცნობილი რომანის სათაურის „ნინო და ალი"-ს მსგავსად მოიხსენიებენ ხშირად ფერმწერ ნინო გოგოლაშვილს და მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძეს, მშვენიერ წყვილს, რომელთაც საკუთარი წვლილი შეაქვთ თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებაში.

ისინი ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს შეხვდნენ და მას შემდეგ ერთად მოღვაწეობენ, მოგზაურობენ, აღზარდეს მშვენიერი ქალიშვილი ნათია, რომელიც მშობლების კვალს გაყვა – დედის მსგავსად დაამთავრა აკადემიის თეატრალური სახელოსნო. ახალგაზრდა ბებიების და ბაბუების კონკურსში ლევანი და ნინო აუცილებლად მოიპოვებდნენ საპატიო პრიზს. პატარა ლევანმა მათ სიცოცხლეს ახალი სიხარული და მიზანი შეჰმატა.



● ნინო და ლევანი

ბოლო ხანს ისინი დროს საქართველოსა და გერმანიას შორის ანაწილებენ. ასე მოხდა, ასე მოიტანა ახალმა სიტუაციამ, რომელსაც თავისი დიდი პლიუსები და ალბათ მინუსებიც აქვს. ამ ვითარებამ განაპირობა ის გარემოება, რომ ნინო გოგოლაშვილის შემოქმედებას საქართველოში ნაკლებად იცნობენ – მისი შემოქმედებითი ნამუშევრების უმრავლესობა იფინება და იყიდება გერმანიაში. მისი და ლევანის ნამუშევრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხელოვნების მოყვარულის კოლექციაშია



● მეთევზე

დაცული. ბოლო დროს ერთ-ერთი გამონაკლისი ბრიტანეთის საბჭოს და ხელოვნების განვითარების ცენტრის „ART-არსის" მიერ სურათების ეროვნულ გალერეაში 2003 წელს მოწყობილი მასშტაბური ექსპოზიცია „ქართული სახვითი შექსპირიანა" იყო, სადაც ნინომ წარადგინა შექსპირის კომედიის „ზაფხულის ღამის სიზმრის" მოტივებზე შექმნილი ფერწერული ტილო.

ყველაფერი კი საკმაოდ ტრადიციულად იწყებოდა. ცნობილი მხატვრის, ზელიმხან გოგოლაშვილის ოჯახში აღზრდამ გარკვეული გავლენა იქონია ნინოს და მისი დის ანას არჩევანზე. ორივემ სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მათი წყალობით შეიქმნა დიდი გოგოლაშვილი – ვარდოსანიძე – ზდანევიჩი – ქუთათელაძეების ოჯახური სამხატვრო „გაერთიანება".

ანას მეუღლე ყარამან ქუთათელაძე – ცნობილი მხატვრების – კირილე ზდანევიჩის შვილიშვილი და აპოლონ ქუთათელაძის ვაჟია.

აკადემიაში სწავლისას ნინოს მასწავლებელი ფარნაოზ ლაპიაშვილი იყო. სახელოსნო იმ დროს განთქმული იყო დიდი შემოქმედებითი პოტენციალით, ბატონ ფარნას ცეცხლოვანი გამოსვლებით. ნინოს სადიპლომო ნამუშევარი პოლიკარპე კაკაბაძის ცნობილი პიესის „ყვარყვარე თუთაბერის" დეკორაციების და კოსტუმების ესკიზები იყო, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეგზოტიკური გარეგნობის მშვენიერი ქალბატონი, რომლის იერში შერწყმული იყო დედმამის ესპანურ–იტალიურის მსგავსი ორიგინალური სილამაზე ლევანის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. ისინი ერთად ქმნიან ახალ ოჯახს, ახალ შემოქმედებით წყვილს. მერე იყო გამოფენებში მონაწილეობა, პირველი წარმატებები, მხატვართა კავშირის წევრობა, მოგზაურობები. მათი სამხატვრო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა დიდ გარდაქმნებს – ინგრეოდა საბჭოთა იმპერია, იმსხვრეოდა სახელმწიფოსა და მხატვრის ურთიერთობის ძველი სისტემა, სამხატვრო ცხოვრების ჩვეული მდინარება. საჭირო იყო გამოსავლის ძიება. ახალგაზრდა წყვილი, ბევრი სხვა მხატვრის მსგავსად უცხოელი ხელოვნების მოყვარულების, გალე-



● ოჯახი



● ფერწერულ ტილოსთან

რისტების ყურადღების არეში მოხვდა. ამ ურთიერთობებმა მისცა მათ საშუალება გადაეტანათ ყველაზე კრიზისული პერიოდი, მისცა გამოფენების, ახალი ნამუშევრების შექმნის შესაძლებლობა, თეატრალური მხატვრობიდან ნინომ ყურადღება ფერწერული ტილოების შექმნაზე გადაიტანა. მისი ნამუშევრები გამოირჩევა ორიგინალური აზროვნებით, ხელწერით. მათი თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა მას არ იტაცებს ტრადიციული ყოფითი თემატიკა, იგი უფრო მეტად ისწრაფვის განყენებული, მასშტაბური მოტივების ასახვისაკენ. ეს არჩევანი განაპირობებს მათ მხატვრულ ფორმას, გამოყენებულ ხერხებს. მის ნამუშევრებში ჩნდება ექსპრესიონისტული და სიურეალისტური ელემენტები, დრამატული დაძაბულობა. კომპოზიციები არ არის განკუთვნილი ლირიკული ჭვრეტისათვის – ისინი სიკვდილ-სიცოცხლის განსჯის, გააზრების ელემენტებს შეიცავენ. ასეთებია მისი სურათები „ხე შემეცნებისა“, „განკითხვის დღე“, „გარდასვლა“, „ვულკანი“, „ქვადქცევა“, „შემოდგომის პეპლები“ და სხვა. ცოლ-ქმრის ღრმა სიყვარულმა მუსიკისადმი განაპირობა ამ თემაზე შექმნილი ნამუშევრების სიმრავლეც: „ღამის ტანგო“, „მოდერნ ჯაზ კვარტეტი“ და სხვა. ნინოს ნამუშევრები არაერთხელ იყო წარდგენილი გერმანიის ქალაქებში გამართულ გამოფენებზე, თუმცა უფრო ხშირად იგი ამჯობინებს ბერლინში მოაწყოს ექსპოზიციები, ქალაქში, რომელიც განთქმულია თავისი საგამოფენო ტრადიციებით, სადაც ბევრი უცხოელი სტუმრობს. ნინო და ლევანი მონაწილეობდნენ საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულ ერთ-ერთ დიდ საგამომცემლო პროექტში კატალოგში „სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში“, რომელიც განახორციელა კულტურული ოლიმპიადის ეროვნულმა კომიტეტმა და ოლიმპიურმა ფონდმა. ამ კატალოგში წარდგენილია ნინოს ერთი კომპოზიცია და სპორტის თემაზე შექმნილი ლევანის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები.



● ქვადქცევა



● ფოთოლცვენა

სპორტულმა თემატიკამ ლევანის ბოლოდროინდელ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. 1999 წელს, ეროვნულ გალერეაში კულტურული ოლიმპიადის კომიტეტის მიერ მოწყობილ გამოფენაზე შეირჩა შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გასაგზავნად მისი ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა – საერთაშორისო კონკურსში მან მეორე პრემია მოიპოვა და ადგილი დაიდო ოლიმპიურ მუზეუმში. მოქანდაკემ გააგრძელა ამ თემაზე ნამუშევრების შექმნა: გოლფის მოთამაშეები: „ჰოკეისტი“, „მეკარე“, „როდეო“, „ფიგურისტი ქალი“, „ძიუ-დო“ და სხვ. ამ ქანდაკებებში შესანიშნავადაა გადმოცემული სპორტის თითოეული სახის სპეციფიკა, მოძრაობა, დინამიკა, ჩანს მასალის ფლობა და რაც მთავარია, თანამედროვე აზროვნება. ეს კომპონენტები მისი ნაწარმოებების მთავარი საფუძველია. თუმცა ლევან ვარდოსანიძე არ იფარგლება მხოლოდ ამ თემატიკით. ბევრი აქვს მუსიკით შთაგონებული ნაწარმოებები – „კონტრაბასისტი“, „ბლუზის მომღერალი“, „მოცეკვავე ქალი“ და სხვა.

ლევანი მრავალი პრესტიჟული გამოფენის მონაწილეა, მისი ნამუშევრები დაცულია მრავალ გალერეასა და კერძო კოლექციაში. ბევრი ახალი წინადადების შემოთავაზება მოსდის მოქანდაკეს უცხოელ ხელოვნების მოყვარულთაგან. მისი ბოლოდროინდელი ერთ-ერთი საინტერესო ნამუშევარი „ცხენი“ ასევე უცხოეთში განხორციელდება.

ნინო და ლევანი – ორი საინტერესო მხატვარია, რომლებიც ჰარმონიულად თანაარსებობენ, ერთად ილვწიან, შრომობენ, ქმნიან ახალ ნაწარმოებებს, ფიქრობენ ოჯახზე, მომავალზე და მშვენიერ შვილიშვილზე, რომელშიც არის ჩაქსოვილი მათი დიდი სიყვარული და იმედი.

**ნინო დვალი**

# სტომატოლოგის რჩევები ორსულთათვის



მომავალი დედისთვის ბავშვის მოლოდინში ყველაფერი იცვლება. ქალის ორგანიზმი ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის, რათა ამ ქვეყანას ახალი სიცოცხლე მოუვლინოს. ორსულთათვის ექიმთან კონსულტაცია ნაყოფის მუცელში განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ვუშვებთ გამონაკლისებს და ვერიდებით სტომატოლოგთან ვიზიტს. ჩვენი სტუმრის, ექიმ-სტომატოლოგის **მაია გამცემლიძის** აზრით, ეს მცდარი შეხედულებაა.

**— სანამ კონკრეტულ რჩევებს მოგვცემდეთ, თუ შეიძლება თავი გაგვაცანით?**

— ოჯახური ტრადიცია არ გამიგრძელებია, თუმცა თავიდანვე კარგად ვაცნობიერებდი პროფესიულ არჩევანს. საკმაოდ მგრძნობიარე სტუდენტი ვიყავი. ამიტომ სამედიცინო ინსტიტუტში სტომატოლოგის პროფესიასთან დაკავშირებული ზიზღის დაძლევაც მომიწია. კვალიფიკაცია თერაპიაში გავიარე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ინტერნატურაში პრაქტიკის გავლის პერიოდში პირველი ქირურგიული პაციენტი მივიღე. როგორც წესი ინტერნატურის პრაქტიკანტები ექიმის თანდასწრებით მუშაობენ. მახსოვს, კვირა დღე იყო. ტკივილისაგან გათანგული ბრგე მამაკაცი შემოვიდა მიღებაზე. მას ქვედა მე-8 კბილის ექსტრაქცია სჭირდებოდა, რაც სტომატოლოგებისათვის საკმაოდ რთულ სამუშაოს წარმოადგენს. პაციენტს ანესთეზია გავუკეთე. ამ დროს ექიმის მოლოდინში წუთებს ვითვლიდი. მაგრამ სამუშაოს შესრულება მარტოს მომიწია. ჩემმა პირველმა, დამოუკიდებლად განხორციელებულმა ქირურგიულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. სახლში ისე მივედი, მეგონა მივფრინავდი, მიწისთვის ფეხი არ შემეხო. პირველი წარმატებით მიღებული ეს განცდა არასდროს შემნელებია. 1987 წელს სამედიცინო ინსტიტუტიდან განაწილებით ლაგოდეხის რაიონში მოვხვდი, სადაც 5 წელი ვიმუშავე. რაიონს ერთი სტომატოლოგი ჰყავდა, ამიტომ ყველანაირი სამუშაოს შესრულება მიხდებოდა. შემდეგ გავთხოვდი და თბილისში გადმოვედი. აგერ უკვე 9 წელია „საქენერგოს" შენობაში გახსნილ სტომატოლოგიურ კაბინეტში ვმუშაობ.

მყავს მეუღლე და ქალიშვილი.

**— რას ურჩევდით ორსულობის პერიოდში ქალებს, როგორ იზრუნონ პირის ღრუს პროფილაქტიკისათვის?**

— ქალის პირის ღრუ ორსულობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. სერიოზული გართულებების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, რომ სტომატოლოგმა ასეთ პაციენტებს პროფილაქტიკური დათვალიერება ხშირად ჩაუტაროს. პულპიტი, პერიოდონტიტი და ორსულთა გინგივიტი ის ანთებითი პროცესებია, რომლებიც პირის ღრუში ვითარდება. ეს უარყოფითად მოქმედებს ჩანასახის განვითარებაზე. ამ დროს მომავალი დედის მიერ საკვების არასრულფასოვანი დამუშავება ხდება, ტკივილი ნერვულ სისტემაზე მოქმედებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პირის ღრუში წარმოქმნილ ანთებით პროცესს ახლავს ანთებითი ექსუდატის ე.წ. სითხის გამოყოფა.

სასურველია ორსულობის პერიოდში ქალებმა ნიკომედის კალცი D3 მიიღონ. ოცი დღის განმავლობაში თითო-თითო აბი. რა თქმა უნდა, ამ დროს ვიტამინოთერაპია კვების რაციონის მნიშვნელოვანი შემადგენელია. ამაზე თავიდანვე, 2 თვის ორსულობიდან მაინც უნდა ვიზრუნოთ როცა ნაყოფში სარძევე კბილების ჩანასახები ყალიბდება.

**— ჯანსაღი კბილების შესანარჩუნებლად, რას გვეტყოდით კვებით დიეტაზე?**

— ამ დროს აუცილებელია კალცით მდიდარი პროდუქტების მიღება. რძის ნაწარმიდან — ხაჭოსი და ჭყინტი, უმარილო ყველის. ორსულებმა ვიტამინების შემცველი ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, დიდი რაოდენობით ნატურალური წვენი უნდა მიირთვან. ბოლო პერიოდში კი სასურველია საკვებში მარილის შემცირება.

**— ამ დროს თუ აქვს მნიშვნელობა, რომელ კბილის პასტას მოიხმარენ?**

— ორსულობის პერიოდში ქალმა ფტორით და კალციუმით მდიდარი კბილის პასტები უნდა შეარჩიონ. სასურველია, ყოველთვე ახლის შერჩევა. იმის მიხედვით, პირის ღრუში აღენიშნებათ კარიესები თუ პერიოდონტიტს უჩივიან.

**— თუ პირის ღრუ მიშვებულია და ორსული ქალი სტომატოლოგთან ხვდება, რას ურჩევს ექიმი ასეთ პაციენტს?**

— მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად მცდარი მოსაზრებაა — ორსულობის პერიოდში სტომატოლოგის ჩარევა არ შეიძლებაო. პირიქით, ამ დროს ქალებში კბილის ემალის დაზიანება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. ამიტომ სტომატოლოგები მომავალ დედებს ვურჩევთ ორსულობის პერიოდში პირის ღრუს სანაციას. ამ დროს აუცილებელია კარიესული კბილების დაბჟენა და სათანადო დონეზე მკურნალობა. ხოლო თუ კბილები მკურნალობას აღარ ექვემდებარება, მათი ექსტრაქცია. აქაც სიფრთხილე გვმართებს. ყოველი ქირურგიული ჩარევა ნერვულ სტრესთანაა დაკავშირებული. ამიტომ არაა რეკომენდირებული კბილის ამოღება პაციენტისთვის ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში და 7 თვის შემდეგ, რათა პირის ღრუში ქირურგიულმა ჩარევამ თვითნებური აბორტი არ გამოიწვიოს.

ესაუბრა **თამარ ნინიძე**

# გმირებად არ იბადებიან...

აჭარა რომ ბრძენი ხალხით არის დასახლებული, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა აწ უკვე ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილ დღეებში, მაგრამ ამჯერად იმ მანდილოსნებზე მინდა გიამბოთ, რომლებმაც მართლაც შეუძლებელი შეძლეს, წლების მანძილზე გამეფებულ უსამართლობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და უდიდესი რისკის ფასად დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება მოიპოვეს. სეტყვად წამოსულ აბაშიძის რისხვას ქვად დაუხვდნენ და დაამსხვრიეს მითი მისი უძლეველობისა და ხელშეუხებლობის შესახებ. როცა აჭარაში მართლაც გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, სახალხო მოძრაობა „ჩვენი აჭარის" აქტივისტებმა გადაწყვიტეს ქალთა ორგანიზაცია „მანდილოსნები მშვიდობისა და დემოკრატიისათვის" დაეფუძნებინათ, თუმცა მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იძულებულები გახდნენ რეგისტრაციაში თბილისში გატარებულიყვნენ, რაშიც დიდად დაეხმარა ბ-ნი მიხეილ მახარაძე. ახლად შექმნილმა ორგანიზაციამ საკმაოდ დიდი მისია იკისრა: აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა გააქტიურება, დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება, რაც მაშინ ფაქტიურად წარმოუდგენილი იყო.

თავიდან თუ ოცდაათამდე წევრს ითვლიდნენ, ერთ თვეში ის რიცხვი სამიათასამდე გაიზარდა. არსებობის საკმაოდ მცირე დროში მართლაც ბევრის გაკეთება მოასწრეს. ბიზნესმენების უშუალო ხელშეწყობით მრავალი კეთილი საქმის გაკეთება შეძლეს. უამრავ გაჭირვებულსა და მიუსაფარს გაუწოდეს დახმარების ხელი და დაკარგული იმედი დაუბრუნეს. რამდენადაც ჩუმად აკეთებდნენ სიკეთეს, იმდენად ხმამაღლა ამხელდნენ აბაშიძის რეჟიმს და მის წინააღმდეგ უკომპრომისოდ იბრძოდნენ. სიკვდილს თვალებში ჩასცქეროდნენ, რამდენჯერ იფიქრეს კიდეც, აი, ახლა კი დადგა აღსასრულიო, მაგრამ გაჩუმება მაშინაც არ უფიქრიათ, რადგან უკან დახევა დამარცხების ტოლფასი იყო, დამარცხება კი სიკვდილზე უარესი. ასე სწამდათ და ასეც იყო!

რევოლუციამ გაიმარჯვა. ქალთა ორგანიზაციამ თავისი უპირველესი მისია პირნათლად შეასრულა. ახლა ჯერი მოპოვებული დემოკრატიის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზეა. კავშირის ლიდერებმა გადაწყვიტეს საქველმოქმედო ასოციაცია „სათნოება" დააფუძნონ და მთელი ენერგია და ენთუზიაზმი უპატრონო, ობოლი, უმწეო ადამიანების დასახმარებლად წარმართონ. თავიანთი პროგრამა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ლევან ვარშალომიძეს გააცნეს, რომელმაც თავის მხრივ დახმარება და გვერდში დგომა აღუთქვა არაჩვეულებრივ ქალბატონებს.

– გმირებად არ იბადებიან შემდეგ ყალიბდებიან. რევოლუციამ დაგვანახა, რომ აჭარაში მართლაც ბევრი გმირი ყოფილა. ახლა მთავარია ერთმანეთის გვერდით დავდგეთ და ერთად ვაშენოთ ბედნიერი, ძლიერი საქართველო, – მითხრა ორგანიზაციის ლიდერმა მზია მაკარაძემ, რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე.

– ორი ვაჟის დედა ვარ და უფლება არა მაქვს ჩემს შვილებს ღირსეული მაგალითი არ მივცე. ჩემი ქვეყნისათვის თავსაც გავწირავ. შარაბიძეების უბანში ვცხოვრობ, სადაც ცნობილი თაბაქიძის სპეცრაზმი იყო დაბანაკებული. ჩემი საქმიანობით გაღიზიანებულები ერთხელ სახლში რომ შემომიცვივდნენ, მეუღლეს წინ გადავეფარე, გვერდზე გადი, ამათ პასუხს მე გავცემ-მეთქი. ასე მეგონა, ქალს ხელით არ შეეხებოდნენ. იმ დღეს მართლაც სასწაულად გადავრჩი, მაგრამ სისტემატურად მაშანტაჟებდნენ და მაშინებდნენ, სამჯერ ტელეფონის ნომერიც კი გამოვიცვალე. „ჩვენი აჭარის" ოფისის ერთ-ერთი დარბევის დროს კი მართლა კინაღამ მომკლეს. პოლიციის უფროსს ძლივს გამოგლიჯეს ჩემი თავი. არაფრით არ მინდოდა ოფისის დატოვება, რადგან ასე მეგონა, თუ იქიდან წავიდოდი, დავმარცხდებოდით.

**– არ გეშინოდათ?**

– იმ წუთებში შიშის ფაქტორი მთლიანად მოხსნილი მქონდა. მოგვიანებით, სალიკვიდაციო სია მაჩვენეს, სადაც ერთადერთი ქალი მე ვიყავი. აი, მაშინ კი მართლა ვიგრძენი შიში. მაგრამ ადრეც რომ მენახა ის სია, ჩემს პოზიციებს მაინც არ დავთმობდი. ვისაც საქართველო გულით უყვარს, ის უსამართლობას ვერაფრით შეეგუება.



● მზია მაკარაძე, მადლენა ნაკაშიძე, ლელა ხიტირი და მედეა ჯიბუტი



● ქალთა ორგანიზაციის გამგეობა

ჩემი და, ზვიადისტად მონათლული, ცამეტი წლის წინათ იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. მახსოვს, აბაშიძემ ხელისუფლების სადავეები რომ ჩაიბარა, მაშინვე თქვა, ამხელა შეცდომა როგორ დაუშვა ზვიადმაო. მაშინ შევეკამათე კიდეც, წინასწარ რატომ ლაპარაკობ, ცოტა ხანი ვაცადოთ-მეთქი. სამწუხაროდ, ჩემი და მართალი აღმოჩნდა. ამჟამად როტერდამში ცხოვრობს, არაფერი არ აკლია, მაგრამ ნოსტალგია მოსვენებას არ აძლევს. ქართული მიწა აქვს წაღებული და იმას ეფერება...

ჩემმა მეუღლემ კი აბაშიძის მმართველობის პირველივე წლებში პროტესტის ნიშნად დეპუტატის მანდატი და მასთან ერთად ყველა პრივილეგია დათმო. მას შემდეგ საშუალება არ მისცეს სადმე მუშაობა დაეწყო. უკიდურესად გვიჭირდა. ჩემი და საზღვარგარეთიდან ფულს გვიგზავნიდა და იმით გაგვქონდა თავი. რამდენჯერ შვილები მშივრები დამიძინებია. ერთხელ ჩემმა მეუღლემ შვილების გამოსაცდელად



● მზია და მალხაზ მაკარაძეები



● მზია მაკარაძე ოჯახთან ერთად

თქვა, წავალ, მეც დავდგები ჩოლოქზე, ფქვილს და შაქარს მაინც მოვიტანო. მამა, მაშინ სახლში აღარ დაბრუნდეო, უთხრეს ბიჭებმა.

***– როგორც ვიცი, ოჯახში კიდევ გყავთ ერთი ოპოზიციონერი...***

– ალბათ ჩემს ძმას გულისხმობთ. მალხაზი კოჯრის ბატალიონის მეთაური იყო.

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ აიმაღლა ხმა არმიაში გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ. იუგოსლავიაში გააგზავნეს, მაგრამ ღვთის წყალობით საღსალამათი დაგვიბრუნდა უამრავი მედლითა და ჯილდოთი. გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერია. მალე ამერიკაში ორი წლით გაემგზავრება კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

***– როგორ ფიქრობთ, დღეს ყველაფერი კეთდება აჭარის კეთილდღეობისათვის?***

– ცამეტი წელი არაფერი გაკეთებულა ხალხისათვის და რამდენიმე თვეში ყველაფერი, ბუნებრივია, არ გამოსწორდება. ამას დრო სჭირდება. მდინარე თავის კალაპოტს აუცილებლად ნახავს. მთავარია, მოთმინებით აღვივსოთ და ვისაც რა შეგვიძლია, ის ვაკეთოთ პატიოსნად და უშურველად. ორგანიზაციის დასაფუძნებლად თბილისში წასასვლელი ფული რომ არ მქონდა, ოქროს სამკაულები გავყიდე. ხატის წინ შემიძლია დავიფიცო, ოღონდ საქართველო გამთლიანდეს და გაძლიერდეს და ჩემი კეთილდღეობისათვის არაფერს ვინატრებ. იმისთვის არ ვიბრძოდი, რომ თბილ ადგილზე მოვკალათებულიყავი.

**– ახლა მთავარია ერთმანეთის გვერდით დავდგეთ და ყური დავუგდოთ ერთმანეთის გულისთქმას, – საუბარში ჩაგვერთო მწერალი ლალი ორმოცაძე, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ასოციაცია „გულანის“ წევრი, „ჩვენი აჭარის“ და ქალთა ორგანიზაციის აქტიური მონაწილე, რომელიც უშუალოდ იცნობს და მეგობრობს რევოლუციის გმირებთან.**

– მე ვარ ცოცხალი მემატიანე იმ დღეებისა, რაც წარუშლელ მოგონებებად დამრჩა გონებაში. მიზნად ვისახავ დავწერო წიგნი, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე იქნება აგებული და სადაც წარმოჩენილი იქნებიან დღევანდელი გმირები. რომ არა ხალხი, რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა. თანაც ეს წიგნი ერთგვარი „რეცეპტი“ იქნება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უკვე მრავალი წელია იბრძვიან თავისუფლების მოსაპოვებლად. ვფიქრობ, წიგნი აქტუალური იქნება, რადგან თავად დიდი ილია ბრძანებდა – პუბლიცისტიკა აგიტაციის საუკეთესო საშუალებაა ხალხთა მასების აზროვნების მობილიზაციისათვისო. ამდენად საზოგადოებას მივაწოდებ ინფორმაციას იმ ადამიანებზე, რომლებიც იბრძოდნენ და იღვწიან ქვეყნის ხვალინდელი ნათელი დღისათვის.

ლიდერების გვერდით ათიათასობით უბრალო ადამიანი იდგა. მათ გარეშე გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით. ამიტომ შეუძლებელი უნდა შევძლოთ, რათა მათ იმედითა და მოლოდინით აღსავსე თვალებში შეხედვის არ შეგვრცხვეს.

მიყვარს ჩემი ქვეყანა თავისი ავითა და კარგით, მიყვარს ადამიანი თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, თავისი შინაარსიანი, დაუმორჩილებელი, მშვენიერი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებით.

ღმერთმა შექმნა სამყარო, ადამიანი კი – სწორედ ამ სამყაროს მოსავლელად და საპატრონოდ. მაშ, მოდით, ერთად მივხედოთ და ვუპატრონოთ მას!

...ვუსმენდი მშვენიერ ქალბატონებს და კიდევ უფრო ვრწმუნდებოდი, რარიგ ამოუცნობი და თვითმყოფადია აჭარა – მზიანიც და წვიმიანიც, მაგნოლიებისა და ზღვის სურნელით გაჟღენთილი, სტუმართმოყვარე, გულალალი ადამიანებით დასახლებული, დღეს უკვე ღიმილით რომ იხსენებენ ახლო წარსულს და თან დასძენენ:

– იმედი გვაქვს, უსამართლობა აღარ იქნება არა მხოლოდ აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში და თუ მაინც იქნება, თვალის დახუჭვას ნამდვილად არ ვაპირებთ, კვლავაც ვამხელთ და შევებრძოლებით.

ჭეშმარიტად ბრძენია ხალხი!

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სიცოცხლისათვის

## ქალის ტვინი

ბოლო გამოკვლევებით ქალის ტვინის მოცულობითი სიმცირე მამაკაცების ტვინთან შედარებით უფრო რთული სტრუქტურით კომპენსირდება. უფრო სწორად, მის ტვინში მეტი ხვეულებია, რაც ქალს საშუალებას აძლევს, ისე სწორხაზოვნად არ იაზროვნოს, როგორც მამაკაცების უმეტესობა აზროვნებს.

მეცნიერთა აზრით, ეს ევოლუციის შედეგია, თავის ქალა მდედრობით სქესს უფრო პატარა აქვს და ტვინის სტრუქტურაც მეტი ხვეულით განვითარდა. ამის შედეგია, რომ ქალის ტვინში 20 პროცენტით მეტი რუხი ნივთიერებაა და ნეირონები ერთმანეთთან უფრო ახლოსაა განლაგებული. ექსპერტების განმარტებით, ქალის ტვინის სტრუქტურა ნეირონებს შორის უკეთეს კავშირსა და აზროვნების უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის.

## ტვინის საკვები

ტვინის ნაყოფიერი მუშაობისთვის საჭიროა ნახშირწყლებით კვება. გლუკოზის შესანიშნავი მიმწოდებელია ყველანაირი ხილის ჩირი. ცნობილია, რომ მშრალ ხილს სწრაფად შეუძლია ტვინისთვის გლუკოზის მიწოდება და ამავე დროს გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე შაქარი ან კანფეტი.

ნუ შეეწინააღმდეგებით საკუთარ თავს, თუ კი მოულოდნელად ტკბილისკენ გაგიწევთ გული. შეიძლება ტვინს სასწრაფოდ ესაჭიროება დამატებითი ენერგია. დიდი რაოდენობით მიირთვით ხილი, ის ნახშირწყლებს შეიცავს და ნაკლებად კალორიულია.

ნახშირწყლები ორგვარია, მარტივი და რთული. მარტივია – შაქარი, კანფეტი, შოკოლადი, მურაბა და სხვ. ისინი გლუკოზას შეიცავენ. ზოგჯერ ორგანიზმი მის გადასამუშავებლად მეტ ინსულინს ხარჯავს და ამიტომ ნერვული უჯრედები მშიერი რჩება.

რთული ნახშირწყლებია – ფაფები, უხეშად დაფქული პური, მაკარონი, სიმინდი, ბოსტნეული, ბარდეული. ისინი გემრიელი პროდუქტებია და ჩვენს კუჭში მოხვედრილი მაშინვე გლუკოზად არ იშლება, თანდათანობით გადადის და ტვინის უჯრედებს შეუფერხებლად კვებავს.

ტვინის წარმატებული მუშაობისთვის ცილებიც და ცხიმებიც (განსაკუთრებით თევზი) და მით უმეტეს, ვიტამინები და მიკროელემენტებია საჭირო.

თუ გინდათ, რომ სალი გონება გქონდეთ, მრავალფეროვნად უნდა იკვებოთ. თავის ტვინის გამართული მუშაობისთვის აუცილებელია 1,5 ლიტრი სუფთა წყალი; არ გირჩევთ გაზიან წყალს, რომელიც აფერხებს ტვინის მუშაობას.

და რაც მთავარია, ტვინი ჟანგბადით უნდა კვებოთ და ავარჯიშოთ.

## ანადუღარი წყალი კალციუმს კლავს

კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობის მთავარი მიზეზი შეიძლება ანადუღარი წყლის მიღება იყოს. მკვლევარების აზრით, დუღილის პროცესში წყალი კალციუმს კარგავს, რომელიც ჩაიდნის კედლებზე ილექება. ეს პრობლემა განსაკუთრებით ჩინეთში დგას, სადაც ანადუღარი წყლის სმა ნორმად არის ქცეული. იქ მოსახლეობა წყლის სისუფთავის ხარისხს არ ენდობა. ამიტომ იქაურ მაცხოვრებლებს კალციუმის დამატებითი წყარო სჭირდებათ.

## ნიორი – მკურნალი

ებრაელმა ქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ ნიორი კუჭ-ნაწლავის მოქმედებას არეგულირებს და მის სამკურნალო თვისებას თურმე ნივთიერება ალიცინი განაპირობებს, რომელიც სპეციფიკურ სუნსაც ანიჭებს. ეს ნივთიერება ფერმენტების მოქმედებას ახშობს, რომელთა დახმარებით პათოგენური მიკროორგანიზმები კუჭისა და ნაწლავების ლორწოვან გარს უტევენ.

მკვლევარების აზრით, ალიცინის ბაზაზე ფართო სპექტრის მქონე ძლიერი ანტიბაქტერიოლოგიური პრეპარატების დამზადება შეიძლება. მათ სინთეტიკური ალიცინის მიღების ტექნოლოგიაც შეიმუშავეს, რომელიც აქტიურობით ბუნებრივს არ ჩამორჩება.

## ანტიდეპრესანტი – ზურგის მკურნალი

ნევროლოგებთან მისული პაციენტები ხშირად უჩივიან ზურგისა და მკერდის არეში აუტანელი, ხან ყრუ და ხან მკვეთრ ტკივილებს. ასეთ პაციენტებს, როგორც წესი, „ვეგეტო-სისხლძარღვულ დისტონიის“ დიაგნოზს უსვამენ და ტკივილების მიზეზს ხერხემალში ეძებენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი ჩივილები, თურმე, დეპრესიულ სინდრომს სცოდნია. კარგადაა ცნობილი, რომ დეპრესიის დროს პაციენტები ზურგისა და თავის ტკივილებს უჩივიან, თუმცა, ამ ტიპის ტკივილების ორგანული მიზეზი არ არსებობს. ასე რომ, ზურგის ტკივილს ზოგჯერ ანტიდეპრესანტები არჩენს.

## სტრესი საშიში არაა

სტრესი ყოველთვის მავნე არ არის ორგანიზმისთვის – მას სიკეთის მოტანაც შეუძლია. აღმოჩნდა, რომ ის იმუნურ სისტემას დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება. ამერიკელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ხანმოკლე სტრესები, მაგალითად, აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, გამოცდაზე გასვლა იმუნიტეტის სტიმულაციას ახდენს. ასეთ რეაქციას დიდი ხნის ფესვები აქვს – მტაცებელთან შეხვედრა, შეიძლება ტრავმით დასრულებულიყო, მაგრამ ის ინფექციებისგან დაცვის უნარს აძლიერებდა, რაც ადამიანის არსებობისათვის ასე მნიშვნელოვანია.

ამავე დროს, გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ტრავმები, მაგალითად, მძიმე დაავადებული ახლობლის მოვლა, საყვარელი ადამიანის დაკარგვა ორგანიზმის დაცვის უნარს ასუსტებს. ეს, განსაკუთრებით, მოხუც და ავადმყოფ ადამიანებს ეხებათ.

## წამალი 120 წლიანი სიცოცხლისათვის

მასაჩუსეტრის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს ცილა, რომელსაც შეუძლია ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს.

მეცნიერებისთვის უკვე რამდენიმე ათეული წელია ცნობილია, რომ ზომიერ შიმშილობას ძუძუმწოვრების, მათ შორის ადამიანის სიცოცხლის 50 პროცენტით და მეტით გახანგრძლივება შეუძლია. ამასთანავე, ხანდაზმული ძუძუმწოვრები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ზომიერად იკვებებიან, ნაკლებად ავადდებიან დიაბეტითა და კიბოთი.

ახლახან ბიოლოგები დარწმუნდნენ, რომ შიმშილობის დროს, ისევე, როგორც სხვა კრიზისულ მდგომარეობაში, ძუძუმწოვრების ორგანიზმი განსაკუთრებულ ცილას გამოჰყოფს. ის ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის 120 და მეტ წლამდე გაზრდის პირობებს ქმნის.

მეცნიერებმა პირველად დაამტკიცეს, რომ საკვების კალორიულობის შემცირება ადამიანის ჯანმრთელობაზე მოლეკულურ დონეზე მოქმედებს.

ისინი იმედოვნებენ, რომ ამ „კრიზისული ცილის“ გამომუშავებაზე პასუხისმგებელი გენის დადგენით უკვდავების თუ არა, სიცოცხლის გახანგრძლივების წამლებს დაამზადებენ. მანამდე კი, გვირჩევენ, რომ ჩვენ თვითონ შევუქმნათ ორგანიზმს „კრიზისული სიტუაციები“ – ნაკლები ჭამით.

## ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის წვენები

*ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის წვენი ყველა ვიტამინსა და სასარგებლო ელემენტს უკლებლივ გვაწვდის.*

**ფორთოხლის წვენი** – C ვიტამინის წყაროა, აძლიერებს სისხლძარღვებს და რეკომენდებულია ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიისა და ღვიძლის პრობლემების დროს.

**ტომატის წვენი** – მასში ლიმონმჟავა, ვაშლმჟავა და მჟაუნმჟავაა. ეს მჟავები სასარგებლოა ნივთიერებათა ცვლისათვის.

**ყურძნის წვენი** – გულის პრობლემას ხსნის და ტრომბების გაჩენას ეწინააღმდეგება.

**გარგარის წვენი** – გულის კუნთს აძლიერებს და ორგანიზმიდან ზედმეტი სითხე გამოაქვს.

**კომბოსტოს, სტაფილოს, სალათის ფოთლების და მწვანე ლობიოს წვენი** – სასარგებლოა დიაბეტიკებისათვის.

**წითელი მოცხარის წვენი** – პრაქტიკულად ისე მოქმედებს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებზე, როგორც ინსულინი.

**მსხლის წვენი** – შეიცავს უჯრედისს და პექტონურ შენაერთებს, ამიტომ ძალიან კარგია კუჭ-ნაწლავის მოქმედების გასაძლიერებლად. აგრეთვე, სისხლის მიმოქცევის პრობლემების მქონეთათვის.

**ქლიავის წვენი** – სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტით დაავადებულთათვის. მას ორგანიზმიდან წყალი და სუფრის მარილი გამოაქვს.

**ვაშლის წვენი** – ის ორგანიზმის სუნთქვაზე ზრუნავს – შლაკები და თირკმელების ქვები გამოაქვს. სასარგებლოა სისხლნაკლებობის დროსაც, რადგან დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს.

**ალუბლის წვენი** – შეიცავს რკინას და კიდევ ფოლიოს მჟავას, რომელიც სისხლძარღვების კედლებს აძლიერებს.

**ანანასის წვენი** – შეუცვლელია თირკმელების დაავადებისა და ანგინის დროს.

**საზამთროს წვენი** – ორგანიზმიდან ჭარბ ქოლესტერინს დევნის. ის ასთმით, გულ-სისხლძარღვთა პრობლემებით და თირკმელებით გამოწვეულ შეშუპებასაც აცხრობს.

**სტაფილოს წვენი** – ფეხმძიმე ქალებს კუჭ-ნაწლავის მუშაობაში ეხმარება და კბილებს უმაგრებს.

**კიტრის წვენი** – თმის სილამაზეზე ზრუნავს.

**სტაფილოსა და კომბოსტოს წვენი** ორგანიზმის გამსუფთავებელია.

# გემრიელი კერძები

**ვიდრე მსუყე შემოდგომაა, გირჩევთ ამთავითვე მოიმარაგოთ ყოველდღიურად საჭირო პროდუქტები: ხახვი და ნიორი, აგრეთვე ლობიო და თუ შესანახი ადგილი გაქვთ, კარტოფილიც.**

## სომხური ტოლმა

ამბობენ, სომეხი ქალბატონები გემრიელ ტოლმას ამზადებენო. ჟურნალ „რაბოტნიცაში“ შემთხვევით ვნახე ერევნული ტოლმის რეცეპტი. განსხვავება ჩვენსა და სომხურ ტოლმას შორის თითქმის არაფერია ცხვრის ხორცისა და სურნელოვანი პილპილის გარდა. და მაინც, გთავაზობთ ერევნული ტოლმის მოსამზადებლად საჭირო რეცეპტს:

მასალა: 700-800 გრამი ცხვრის რბილი ხორცი (საშუალო სიმსუქნის) ნახევარი ჩაის ჭიქა წვრილი (წვეტიანი) ბრინჯი მოწალული და არა მოხარშული, 3 თავი ხახვი, 4-5 კბილი ნიორი, თითო კონა ოხრახუში და რეჰანი. წითელი პილპილი, სურნელოვანი პილპილი (ნახევრი ჩაის კოვზი), ვაზის ფოთლები.

ხორცი, ხახვი, ნიორი და ოხრახუში გაატარეთ ხორცსაკეპში, ბრინჯი მოწალეთ, რეჰანის ფოთლები დაჭერით ძალიან წვრილად. გატარებულ მასას შეურიეთ გაწურული ბრინჯი, წვრილად დაჭრილი რეჰანი, დანის წვერით მწარე პილპილი, ნახევარი ჩაის კოვზი სურნელოვანი პილპილი, მარილი გემოვნებით და კარგად აურიეთ.

ვაზის ფოთლები ჩაყარეთ მდუღარე წყალში, გააჩერეთ 1-2 წუთი, გადაწურეთ, ფოთოლს მოაცალეთ ღეროები და დაიწყეთ ტოლმის შეხვევა. თითო ფოთოლზე მოათავსეთ ერთი სავსე ჩაის კოვზი ფარში (ან ცოტა მეტი, ფოთლის სიდიდის მიხედვით) მიეცით მოგრძო ფორმა, გადაახვიეთ და ჩაალაგეთ ბრტყელძირიან ქვაბში. დაასხით ბულიონი ან ანადუღარი წყალი, დაახურეთ ჯერ თეფში (ისეთი ზომისა, რომ დაფაროს). თეფშს დაადეთ გარეცხილი როდინის ქვა (დუღილის დროს ტოლმა რომ არ ამოტივტივდეს და არ ჩაიშალოს), დაახურეთ ქვაბს თავსახური და შედგით ცეცხლზე მოსახარშად.

ტოლმასათან ერთად სუფრაზე მიიტანეთ დანაყილი ნივრით შეზავებული არაჟანი ან მაწონი.

## გუფთა

**მასალა:** 600 გრამი ძროხის (ან ხბოს) რბილი ხორცი. 2 კვერცხი, 2-3 თავი ხახვი, 1 კონა ოხრახუში, 1 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 2-3 კბილი ნიორი, 1 სავსე სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 3-4 სუფრის კოვზი რძე (ან წყალი).

ხორცი, ხახვი, ღეროებმოცლილი ოხრახუში და ნიორი ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპში. რძეში ან წყალში კარგად გახსნილი პურის ფქვილი და კვერცხი შეურიეთ ხორცს, დაუმატეთ შავი პილპილი, მარილი და კარგად აურიეთ. მიღებული ხორცის მასით გააკეთეთ პატარა ბურთულები, ჩაყარეთ მდუღარე ბულიონში ან მდუღარე წყალში და მოხარშეთ. ხორცის მზა ბურთულები ქაფქირით ამოიღეთ, დააწყვეთ შესაფერის თეფშზე და ზემოდან მოასხით ერბო, გამდნარი კარაქი ან არაჟანი. გუფთა შეგიძლიათ მიირთვათ წვენთან ერთად.

## ბადრიჯანი ბულგარული წიწაკით

**მასალა:** 7-8 ცალი კარგი ბადრიჯანი 3-4 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 1 კილო პამიდორი, 3-4 თავი ხახვი, 1 კონა ნიახური, 1 კონა ოხრახუში, 1 ჩაის კოვზი უცხო სუნელი, წითელი პილპილი, 3-4 კბილი ნიორი.

ბადრიჯანს მოაჭერით ზედა უხეში ნაწილი, დანის წვერით ნელ-ნელა ამოიღეთ თესლიანი ნაწილი (გული) თუ ბადრიჯანი გრძელია, გაყავით შუაზე და გაათანაბრეთ პატარა ზომის ბადრიჯანთან. ხახვი დაჭერით წვრილად, მოშუშეთ ისე, რომ არ გააყვითლოთ. მოშუშულ ხახვს შეურიეთ წვრილად დაჭრილი ნიახურის ფოთლები. ძალიან წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, დანაყილი ან დაჭყლეტილი ნიორი, დანის წვერით პილპილი, უცხო სუნელი და ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, აურიეთ კარგად და მიღებული მასით ამოავსეთ ბადრიჯნის გული, დააწყვეთ ტაფაზე და შეწვით. დროდადრო ბადრიჯანი გადააბრუნეთ, რომ ყოველი მხრიდან შეიწვას.

ვიდრე ბადრიჯანს შესაწვავად დადგამთ, პამიდორს მოაცილეთ კანი, დაჭერით ბრტყლად, მოათავსეთ ქვაბში და მოთუშეთ. შეაზავეთ მარილით, მცირეოდენი პილპილით და წვრილად დაჭრილი ოხრახუშით. შემწვარ ბადრიჯანს დაასხით პამიდვრის მზა წვენი და 1-2 წუთი ერთად წამოადუღეთ. სუფრაზე მიიტანეთ ცხელი. თუ დაგრჩებათ შემდეგ მისი გაცხელება საჭირო არ არის, ის უკვე შეგიძლიათ საუზმისათვის გამოიყენოთ.

## შინ გამომცხვარი პური

ხშირად გაიგებთ საყვედურს, პური არ ვარგა, ვერც ერთ პურს გემოს ვერ ჩაატანო. თუ მოიცლით და სურვილიც გექნებათ, სცადეთ და შინ გამოაცხვეთ სურნელოვანი და გემრიელი პური, რისთვისაც საჭიროა:

1 კილო ფქვილი, 25 გრამი საფუარი (დროჟი), 1 სუფრის კოვზი ძმარი, 2 ჩაის კოვზი (თავგადალესილი) მარილი, 2-3 ჭიქა წყალი.

მოზრდილ, მომინანქრებულ თასზე გაცერით ფქვილი, გახსენით წყალში საფუარი, ჩაყარეთ მარილი, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ძმარი, კარგად აურიეთ, ჩაასხით ფქვილის შუაგულში და ხის კოვზით კარგად აურიეთ. მიღებული მასა უკვე ხელით უნდა ზილოთ დიდხანს და მონდომებით, ამაზეა დამოკიდებული პურის კარგი გემო, როგორც კი ცომი კარგად მოცილდება ხელს, შეაგუნდავეთ, დატოვეთ თასზე, გადააფარეთ სუფთა ტილო და დადეთ თბილ ადგილზე (ან დაათბუნეთ გადასაფარებლით), რომ ცომი ამოვიდეს. საათნახევრის შემდეგ კარგად გაფუებული, ამოსული ცომი გაყავით ორ ნაწილად, მოათავსეთ ფქვილმოყრილ საცხობზე, გადააფარეთ ტილო და კვლავ თბილად დატოვეთ 50 წუთი. ამის შემდეგ გაახურეთ გაზის ქურა და ვიდრე გახურდება, კარგად ათქვიფეთ ორი კვერცხის ცილა, უყავით მცირეოდენი მარილი (დანის წვერით), გადაუსვით პურის ცომს და შედგით გამოსაცხობად კარგად გახურებულ ღუმელიში. 15 წუთი დატოვეთ ამ ტემპერატურაზე. შემდეგ მოუკელით სიმხურვალეს და საშუალო ტემპერატურაზე დატოვეთ ღუმელში 50 წუთით. ამ ხნის განმავლობაში ერთი-ორჯერ კიდევ გადაუსვით ათქვეფილი ცილა, რათა პური გამოცხვეს სურნელოვანი და ქერქი ხრუკუნა და გემრიელი. ღუმელიდან გამოღებულ პურს მაშინვე ნუ მიირთმევთ. გადააფარეთ სუფთა ტილო და 20 წუთი მაინც დატოვეთ ასე, რომ გაგრილდეს და გული კარგად გამოიშროს...



**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის**
**ტელეფონი:**
**99-98-71**

**ჟურნალის შეძენა**
**შეგიძლიათ რედაქციაში**

**ფასი სახელშეკრულებო**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღმერთი სიყვარულია

## საუბარი მეორე



რაკი ღმერთი სიყვარულია, ადამიანმა სული სიყვარულით უნდა აივსოს, რათა ღვთის ნათელს შეუერთდეს მარადისობაში. ჩვენი ცხოვრების უმთავრესი მიზანი სულის ცხონებისთვის მზადებაა. ზოგს უმძიმს ამ საკითხზე ფიქრი და თვალდახუჭული მიჰყვება ცხოვრების აბობოქრებულ მდინარეს, რომელიც სად გამორიყავს, ან სად ჩაითრევს მორევში, არ იცის...

მორწმუნე ადამიანი მუდამ მზად უნდა იყოს მარადიულობაში გადასასვლელად, რამეთუ ცხოვრება კატაკლიზმებითაა სავსე... ერთმა წმინდანმა თქვა: ყოველი დღის გათენებას ისე შეხვდი, თითქოს ეს იყოს შენი უკანასკნელი დღე და აღარ შესცოდავო. ცოდვებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ თუ ადამიანი იმ განცდით იცხოვრებს, რომ დღე აღარ დაუღამდება, მომაკვდინებელ ცოდვებს ნამდვილად აღარ ჩაიდენს. ურწმუნო იტყვის: ასე ცხოვრება დამთრგუნველიაო, მაგრამ მორწმუნემ იცის, რომ ასეთი განცდა არათუ გვთრგუნავს, პირიქით, სულიერად გვამაღლებს და ცხოვრებას გვიმსუბუქებს. როცა მთელი არსებით გვწამს, რომ სიკვდილი მარადიულობაში გადასვლაა და იქ ჩვენი საქმეების მიხედვით განვისჯებით, მაშინ მხოლოდ იმის ცდაში ვიქნებით, რაც შეიძლება მეტი სიკეთე წავიტანოთ ზესთა სოფელში.

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის უმრავლესობა რაღაც უცნაურ წესებს მიჰყვება, — გარდაცვლილის თან ატანენ: ზედმეტ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს (საშინაოს თუ საგარეოს), საყოფაცხოვრებო ნივთებს, ღვინოს, არაყს, ბორჯომს, ლიმონათს და ა. შ. რაც უყვარდა მიცვალებულს, — ატანენ აგრეთვე ფულს და ავიწყდებათ, რომ ეს ფული ნამდვილად მიუვა იმქვეყნად ადამიანის სულს იმ შემთხვევაში, თუ ტაძარს შესწირავენ, ან ვინმე გაჭირვებულს აჩუქებენ. მატერიალურად სულს ფული არ სჭირდება, რასაკვირველია, მაგრამ მასთან მიდის ჩვენს მიერ გაცემული მოწყალების მადლი, რაც უმსუბუქებს საზვერეებში გავლას, რომელიც ორმოცამდე უნდა გაიაროს; — მეორმოცე დღეს კი იმართება მისი პირადი სამსჯავრო, სადაც გადაწყდება სად მიუჩენენ ადგილს უფლის მეორედ მოსვლამდე, როცა მიცვალებულნი აღსდგებიან და საბოლოოდ განიკითხება ყოველი სული.

საღმრთო გამოცხადებისა და საიქიოს მხილველ წმინდანთა სწავლების მიხედვით, სული გარდაცვალებიდან პირველი სამი დღის განმავლობაში დედამიწაზეა, თავისი სხეულის ირგვლივ, თავს დასტრიალებს თავისიანებს და მოინახულებს იმ ადგილებს, სადაც ოდესმე სიკეთე გაუკეთებია. მესამე დღეს ანგელოზები წარადგენენ უფალთან და ყოვლის გამგებლის მითითებით ექვსი დღის განმავლობაში ათვალიერებინებენ სამოთხეს. კეთილი სული ხარობს სასუფევლის ხილვისას, ბოროტი კი წუხს, რადგან იქ აეხილება თვალი და მიხვდება, თუ რა დაკარგა ბილწი ცხოვრების გამო.

ექვსი დღის შემდეგ, გარდაცვალებიდან მე-9 დღეს ანგელოზები მეორედ წარადგენენ სულს უფალთან და შემდეგ ჯოჯოხეთის ჯურღმულებს აჩვენებენ. მეორმოცე დღეს კი შედგება ახლადშესვენებულის პირადი სამსჯავრო, სადაც კეთილი ანგელოზები მის კეთილ საქმეებს წარმოადგენენ, უწმინდურები კი — ყველა ბოროტებას, რაც კი მას ჩაუდენია. ცბიერი სულები ცილისმწამებლები არიან, ხშირად ისეთ ცოდვებსაც აბრალებენ პიროვნებას, რაც არ ჩაუდენია. კეთილი ანგელოზები ამ ცილისწამებებს არაფრად აგდებენ და საერთოდაც, მის მიერ ქმნილი კეთილი საქმეებით აბათილებენ იმ ცოდვებს, რომელიც ეშმაკებს აქვთ აღნუსხული. უნდა გვახსოვდეს, რომ აღსარებაში მონანიებული ცოდვები იშლება დაცემულ სულთა დავთრებში და გააფთრებული დემონები ცილისწამებებზე გადადიან.

რაკი ღმერთი აბსოლუტური სიკეთე და სიყვარულია, ჩვენც მის სიყვარულს მაქსიმალური სიყვარულით უნდა ვუპასუხოთ, რაც საღვთო მცნებების დაცვასა და ურთიერთსიყვარულში უნდა გამოვავლინოთ. თუ ეშმაკის მახეს წამოვეგებით და ნებსით თუ უნებლიე ცოდვას ჩავიდენთ, სასოწარკვეთას ნუ მივეცემით, საფუძვლიანი აღსარებით სული განვიწმინდოთ და ვეზიაროთ, რამეთუ უფლის სისხლი და ხორცი სულიერად გვზრდის და განგვაღმრთობს. აი, სწორედ მაშინ დაირღვევა სიკვდილის მახე, მაშინ განქარდება სიკვდილის ნესტარი!

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

ჟურნალ „საქართველოს ქალის" VII-VIII ნომერში გაიპარა სავალალო შეცდომა, – მე-6 გვერდზე მოთავსებული წერილი იწყება სიტყვებით: „მათეს სახარებას სიყვარულის სახარებასაც უწოდებენ," – უნდა იყოს: „იოანეს სახარებას სიყვარულის სახარებასაც უწოდებენ."



ყდ 279/5 1–
ეროვნული ბიბლიოთეკა